საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№136
(12 206)

12 ივნისი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ყაზბეგი

# ნაკრების მეკარე უგუნდოდ დარჩა




## გიორგი ლომაია კარლ ცაისში აღარ ითამაშებს

გიორგი ლომაიას იენის "კარლ ცაისთან" კონტრაქტი თვის ბოლოს ეწურება და აქამდე გაურკვეველი იყო, გააგრძელებდა თუ არა ის ხელშეკრულებას იენელებთან. ახლა კი გადაწყდა, რომ ლომაია "კარლ ცაისში" აღარ ითამაშებს.

ლომაია იენურ გუნდში იანვარში მივიდა და "კარლ ცაისს" დიდად დაეხმარა მეორე ბუნდესლიგიდან არგავარდნაში. რაც ის საქართველოდან წავიდა, უწყვეტი სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონია - მოსკოვის "სპარტაკი", "ხიმკი" და "ლუჩი" - ამ რუსულ გუნდებში მისი კარიერა ვერ განვითარდა, "კარლ ცაისში" კი ყველაფერი ნორმალურად წაუვიდა, მაგრამ...

საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე ახლა, ფაქტობრივად, უგუნდოდაა და შემოთავაზებებს ელის. ლომაია "კარლ ცაისში" რომ აღარ ითამაშებს, თვითონვე დაგვიდასტურა.

დავით თავართქილაძე

## მალხაზ ასათიანის დაბრუნება ორი კვირით გადაიდო

3



# პოლიტიკური ვალი: ცხინვალი

## რამდენი გუნდი ითამაშებს უმაღლეს ლიგაში?

დავით თავართქილაძე

ფეხბურთი და პოლიტიკა, ხელისუფლება და ფეხბურთის ფედერაცია, ფედერაცია და პატრიოტულ-პოლიტიკური პრინციპით გაზრდილი უმაღლესი ლიგა - ყველაფერი თითქოს ტელესერიალივით დაიწყო და გრძელდება.

შარშანწინ, როგორც კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი გახდა, უმაღლესი ლიგა ათიდან თექვსმეტ გუნდამდე გაიზარდა. ექვსი დამატებული გუნდიდან ორი, "ცხინვალი" და "სოხუმი" იყო. მაშინ ახალკაცმა ალბათ დამოუკიდებლად მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. მისმა ნოვაციამ არ გაამართლა - "ცხინვალსა" და "სოხუმს" ფული შემოაკლდათ და საუმაღლესლიგო არსებობა ველარ შეძლეს.

ზოგადად, ხელოვნური არაფერი ვარგა, ხელოვნურად გაზრდილი უმაღლესი ლიგა კი ეროვნული ჩემპიონატისთვის ვერ გამოდგება.

სამხრეთი ოსეთის დროებითი ადმინისტრაციული ოლქის ანუ დიმიტრი სანაკოევის მთავრობის წარმომადგენელმა მამუკა მამაცაშვილმა გვითხრა, წინა სეზონში რეგიონულ ლიგაში მოთამაშე "ცხინვალი" ფაქტობრივად უკვე უმაღლესლიგელიაო. ცნობა კულუარებშიც გადავამოწმეთ და სახელისუფლებო წრეებშიც - "ცხინვალის" ხელმეორედ გაუმაღლესლიგელებაზე სერიოზული სამუშაო მიდის, ინიციატივა სანაკოევის მთავრობიდან მოდის და თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, "ცხინვალი" არასპორტული, მაგრამ პოლიტიკური პრინციპით დამდეგ სეზონიდან უმაღლეს ლიგაში ითამაშებსო.

2



## კრივი



## კოტე კუპატაძე ისევ საქართველოს ნაკრებშია

10

**დღეიდან, ივნის-ივლისში ლელო გამოვა 12 გვერდზე, გარდა ორშაბათის ნომრისა, რომელიც კვლავ 16-გვერდიანი იქნება**

ყაზბეგი

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოლიტიკური ვალი: ცხინვალი

პირველი გვერდიდან

ქართული ფეხბურთისთვის "ცხინვალი" ვალი გახდა, რომლის არგადახდა ამ ეტაპზე შეუძლებელია. საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაში ამაზე ჯერ არაფერი იციან, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვითხრეს. არადა, პროფლიგის პრეზიდენტმა "ლელოსთან" ამასწინანდელ ინტერვიუში განაცხადა, ყველაფერი იქითკენ მიდის, თოთხმეტგუნდიანი უმაღლესი ლიგა თორმეტამდე უნდა შემცირდესო.

საჩხერის "ჩიხურა" უმაღლეს ლიგაში თავის ადგილს ყიდის, უფულოდ არაფრის დათმობას აპირებს. აკი პლეი ოფში შმაგი ბრძოლა გაუმართა კიდეც პირველლიგელ "გაგრას". ახლა საკითხავი ისაა, "ჩიხურა", "ცხინვალს" მიჰყიდის ადგილს თუ "ცხინვალი" უმაღლესი ლიგის მეთხუთმეტე გუნდი გახდება. თუ "ცხინვალს" უკვე განალდებული აქვს უმაღლესი ლიგა, მაშინ რალაზე გადაუხდის ფულს "ჩიხურას"? ანუ, უმაღლესი ლიგის გაზრდა უფრო ლოგიკურია, ვიდრე "ჩიხურასგან" "ცხინვალისთვის" ადგილის მიყიდვა.

ვარიანტი კიდევ რამდენიმეა - თხუთმეტგუნდა უმაღლესი ლიგა, "ცხინვალის" გარდა კიდევ ერთი გუნდის დამატება, სალიცენზიო მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო რომელიმე კლუბის უმაღლესი ლიგიან გაძევება და ვაკანსიის "ცხინვალით" შევსება.

ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი ალბათ ის იქნება, თუ გუნდების რაოდენობა არ გაიზრდება და ასეთნაირად მოხვდება "ცხინვალი" უმაღლეს ლიგაში.

სანაკოევი, ნაირგვარი ჰუმანიტარული პროგრამები, ტელეკომპანია "ალანია" - ჰოლდინგს უმაღლესლიგელი "ცხინვალი" ემატება და ამ საქმეს წინ ალბათ ყველაზე დამოუკიდებელი და პრინციპული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტიც ვერ შეეწინააღმდეგებოდა.

და როგორი იქნება უმაღლესლიგელი "ცხინვალი"? ერთი-ორი წლის გუნდი, რომელმაც პოლიტიკური მისია უნდა შეასრულოს და მერე უპატრონოდ დარჩეს? ექნება კი სანაკოევურ ჰოლდინგს ხანგრძლივი დაფინანსება?

ფეხბურთი ეროვნული საქმეა და თუ ამ ცხელ-ცხელი, მოოხშივრე ამბავიდან სახეირო გამოდნება, "ცხინვალი" გამართლებული ვალი გამოდგება.



# ცხინვალი უკვე უმაღლესშია?

პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრინციპული პოზიციის მიუხედავად, უმაღლესი ლიგის 16-გუნდამდე გაზრდის ალბათობა საკმაოდ დიდია. „ლელოს" აქტიურმა მკითხველმა კარგად იცის, რომ კარგა ხანია, „ცხინვალის" მესვეურებს უმაღლესში დაბრუნება სურთ და ამ მიზნის მიღწევას, უპირველეს ყოვლისა, სამხრეთი ოსეთის დროებითი ადმინისტრაციული ოლქისა და უშუალოდ მისი ხელმძღვანელის, **დიმიტრი სანაკოევის** მხარდაჭერით აპირებენ.

დღევანდელი მდგომარეობით, „ცხინვალის" საუკეთესოთა შორის დაბრუნება მეტად რეალური უნდა იყოს. როგორც დროებითი ადმინისტრაციის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, **მამუკა მამაცაშვილმა** გვითხრა, „ცხინვალის" ხელმძღვანელობას პირადად **ნოდარ ახალკაცი** დაჰპირდა უმაღლესი ლიგის საგზურს.

*„ეს საკითხი გადაწყვეტილია, მხოლოდ ფორმალობებია მოსაგვარებელი, ბატონი ნოდარი საზღვარგარეთაა, ჩამოვა თუ არა, გვესტუმრება და ყველაფერს ოფიციალურად გავაფორმებთ. პირველ ლიგაში თამაშის ვარიანტი საერთოდ არ განიხილება, დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ „ცხინვალი" მომავალ სეზონს უმაღლეს ლიგაში გაატარებს"*, - განაცხადა მამაცაშვილმა.

მისივე თქმით, კლუბის ბიუჯეტი უახლოეს დღეებში დამტკიცდება და ამ სახსრებით განახლებული „ცხინვალი" მაღალი საფეხურებისთვის შეძლებს ბრძოლას. გუნდი, ჯერჯერობით, არ დაკომპლექტებულა, მთავარ მწვრთნელად, სავარაუდოდ, გამოცდილი **სერგო გაბელაია** იმუშავებს.

ისიც შევიტყვეთ, რომ ხეითის სტადიონის კეთილმოწყობას რამდენიმე თვე დასჭირდება და მანამდე გუნდი



ახალკაცი ცხინვალს ადგილს შეჰპირდა

კვლავ გორში, „ქართლის" სტადიონზე ითამაშებს. „ქართლზე" სარეკონსტრუქციო სამუშაოები და მოედნის საფარის გამოცვლა იგეგმება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ქართველი მწვრთნელი უცხოეთში

# ჭედია ქეცბაიასთან იმუშავებს

გასული სეზონი **სოსო ჭედიამ** რეგიონალლიგაში მოასპარეზე აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრის გუნდ "ცხუმის" მწვრთნელის პოსტზე ჩაამთავრა. მალე ჭედია უცხოეთში მომუშავე ქართველ მწვრთნელთა რიგებს შეემატება. ჩვენი ინფორმაციით **თემურ ქეცბაიამ** სოსო ჭედიას ფამაგუსტის "ანორთოსისში" თანაშემწე-მწვრთნელობა შესთავაზა და ახლო მეგობრისგან თანხმობაც მიიღო.

*"დიახ, მართალია. თემური ახლა ბულგარეთშია PRO კატეგორიის ლიცენზიის ასაღებად. მალე კვიპროსზე დაბრუნდება და მეც იქ შევუერთდები. ცოტა ხნის წინათ, თემური თბილისში იყო ჩამოსული და "ანორთოსისში" რიგითი მწვრთნელობა შემომთავაზა. რაღა თქმა უნდა დავთანხმდი. კიევში სავიზო ფორმალობა მეუღლესთან ერთად მოვაგვარე. ავიაბილეთებიც აღებული გვაქვს და 14 ივნისს ოჯახთან ერთად გავემგზავრები"*, - "ლელოსთან საუბარში განაცხადა სოსო ჭედიამ.

რესპონდენტს საუბარში მომავლის კონტრაქტსა და გეგმებზეც დავეკითხეთ:

*"კონტრაქტს კვიპროსზე გავაფორმებ. მომავალი ხელშეკრულების ხანგრძლივობაზე, გადაჭრით ჯერ ვერაფერს გეტყვით, ალბათ კონტრაქტი მინიმუმ ერთწლიანი იქნება. ივნისის მეორე ნახევარში "ანორთოსისი" უცხოურ შეკრებაზე მიგვყავს მოსამზადებლად. სავარაუდოდ, შეკრებას ჰოლანდიაში გავივლით. 29 ივნისის წილისყრა კი უეფას თასზე ჩვენს ევრომეტოქეს გაარკვევს"*.

ბუნებრივია საინტერესოა თუ რა კატეგორიის ლიცენზია აქვს თავად სოსო ჭედიას, რომელიც კვიპროსის თასის მფლობელ გუნდში, რამდენიმე დღეში დაიწყებს მუშაობას.

*"A კატეგორიის ლიცენზია მაქვს და საკუთარი თავის იმედი რომ არ მქონდეს, მაშინ ამ ნაბიჯს არც გადავდგამდი. ბოლო-ბოლო თემურ ქეცბაია ჩემი მეგობარია და მას ხომ არ შევარცხვენ? თემურიც ყველანაირად მხარში ამომიდგება და ვიცი არ გამიჭირდება. ასე რომ შევძლებ"*, - გვითხრა ჭედიამ.

"ანორთოსისში" ადრე, თავად თემურ ქეცბაიას ჩათვლით, ერთბაშად 5 ქართველი ფეხბურთელი ასპარეზობდა. ქეცბაიამ უკვე დაასრულა მოთამაშის კარიერა და ამჟამად ფამაგუსტელებს ქართველი მოთამაშე არ ჰყავთ. ჩვენი ინფორმაციით, "ანორთოსისს" შესაძლოა ერთი ქართველი ფეხბურთელი დაემატოს - "ოლიმპის" მცველი **გიორგი ონიანი**. თუმცა რა გამოვა ამ საქმიდან, გაურკვეველია, რადგან გიორგის გერმანული "კარლ ცაისში" გადასვლის შანსიც აქვს.

*"გიორგი ონიანი ჩემი გაზრდილია. რომ არ დაგიმალოთ, ასეთი ჩანაფიქრი მართლაც გვაქვს. თემურ ქეცბაიასთანაც მქონდა საუბარი. თუმცა საკითხი საბოლოოდ ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი. ამ ეტაპზე მეტს ვერაფერს გეტყვით. ჩავალ კვიპროსზე და გუნდი რომ შეიკრიბება ყველაფერი მერე გადაწყდება"*, - გვითხრა სოსო ჭედიამ.

**დავით ცაბაძე**

## დიმიტრი რამიშვილი:
# ლიგის შემცირება გვსურს!



**"ცხინვალის" წარმომადგენლის საუბარმა კიდევ ერთხელ წამოჭრა თემა, რომელიც საფეხბურთო არჩევნების შემდეგ დაისვა - თითქოს ფეხბურთის ფედერაციას უმაღლეს ლიგაში მონაწილეთა რაოდენობის 16-მდე გაზრდა სურს.**

**ვითარებაში გასარკვევად პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილს მივმართეთ.**

**- უმაღლესში გუნდების რაოდენობა იზრდება?**

- ვინ გითხრათ?

**- "ცხინვალის" წარმომადგენელი ამბობს, რომ ნოდარ ახალკაცი უმაღლეს ლიგაში ადგილს შეპირდა...**

- პირველად მესმის!

**- თუმცა დღეს უმაღლესი ერთ-ერთი გუნდში აბსოლუტურად საწინააღმდეგო ინფორმაცია მოვისმინეთ, თითქოს ლიგა 10 გუნდამდე შემცირდება. სიმართლე გითხრათ, დავიბენით და ამიტომაც თქვენგან გვსურს სიმართლის გაგება. რეალურად რას აპირებთ?**

- ლიგის გაზრდა კი არა, პირიქით, 12-გუნდამდე შემცირება გვსურს და წესით, ეს შემდეგი სეზონისთვის უნდა მოხდეს. მალე ლიგის გამგეობის წევრები შეიკრიბებიან და ამ პროექტის დებულებაში შეტანას შევთავაზებთ.

**- მოკლედ, ლიგა არ იზრდება?**

- არ გაიზრდება. ხომ გითხარით, პირიქით, შემცირება და შემდეგი სეზონის 12 გუნდით დაწყება გვსურს.

**- პირველი ლიგა რა ფორმატით დაიწყებს ჩემპიონატს? მართალია, თითქოს ორ ზონაში 10-10 გუნდი ითამაშებს?**

- არა, საიდან მოიტანეთ?

**- ამაზე თავად გუნდები საუბრობენ?**

- არ დაიჯეროთ, ჯერ გადაწყვეტილება ჩვენ არ მიგვიღია. თუკი საჭირო რაოდენობა არ შეიკრიბა, მაშინ 20 გუნდს პირველ ლიგაში როგორ ვათამაშებთ? განიხილება 16 და 14-გუნდიანი ჩემპიონატის ვარიანტი. მთავარია, პირობებს რამდენი დააკმაყოფილებს.

**მერაბ მამულაშვილი**

# ფანცხავას ლემანი სამწლიანს სთავაზობს

საფრანგეთში "გაგრის" პრეზიდენტ **ბესო ჩიხრაძის** ვიზიტზე რამდენიმე დღის წინათ გაუწყებდით. მიზეზი ფრანგული კლუბის, "ლემანის" ქართველი თავდამსხმელით, **ვახტანგ ფანცხავათი** დაინტერესება გახლდათ.

თუმცა, შეცდომით, "ლემანის" ნაცვლად "ჰავრი" დავწერეთ, რადგან მანამდე **გია გურულის** ყოფილი კლუბი ფანცხავას კონტრაქტს მართლა სთავაზობდა.

"გაგრის" პრეზიდენტის თქმით, "ლემანი" სერიოზულად დაინტერესდა ქართველის აყვანით. ჩიხრაძე ორიდე დღით თბილისში დაბრუნდა და მოლაპარაკების გასაგრძელებლად დღეს ისევ საფრანგეთში გაემგზავრა. "ლემანი" საფრანგეთის უმაღლესი დივიზიონის კლუბია და სეზონი მეთორმეტე ადგილზე დაასრულა. ამ კლუბში დაოსტატდა **დროგბა** და საერთოდ, "ლემანის" პოლიტიკა ახალგაზრდა ფეხბურთელების გაზრდასა და მათ გაყიდვაზეა დამყარებული.

საფრანგეთის უმაღლესი დივიზიონის მეთორმეტე ადგილზე გასული კლუბი ვახტანგ ფანცხავას სამწლიან კონტრაქტს, "გაგრას" კი პარტნიორობას სთავაზობს.

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელმა გვითხრა, რომ თვის ბოლოს საფრანგეთში მიემგზავრება და ყველა სხვა გუნდში გადასვლა გამორიცხა. ჩიხრაძის თქმით, არსებობს საკითხი, რომლის მოგვარებაზეც დამოკიდებულია ახალგაზრდა ფორვარდის ტრანსფერი. თუკი იგი დროულად გადაწყდა, მაშინ ფანცხავა კონტრაქტს ივლისის დასაწყისში გააფორმებს.

**მერაბ მამულაშვილი**

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოლიმპი

# კილასონიამ ნასულ-მოსულები დაასახელა

**რუსთავის "ოლიმპმა" სეზონისთვის მომზადება დაიწყო. ჩემპიონთა ლიგაზე გუნდი ოდნავ შეცვლილი შემადგენლობით ითამაშებს. მათგან პირველი მწვრთნელს უკავშირდება - რეზო ძოძუაშვილს კონტრაქტი არ გაუგრძელეს და მის ადგილზე ახლა ყოფილი ასისტენტი, რუსთაველი სპეციალისტი ვალერი კილასონია მუშაობს.**

**დანარჩენ სიახლეებზე "ოლიმპის" მწვრთნელი გვესაუბრება:**

- სეზონისთვის მზადება 7 ივნისს თბილისში დავიწყეთ. 3 დღე მოთამაშეები მსუბუქად დავტვირთეთ, რადგან სამედიცინო შემოწმებას ველოდით. მის პასუხზე იყო დამოკიდებული, ვის რა დატვირთვით ვავარჯიშებდით.

**- და რა შედეგებით დასრულდა გამოკვლევა?**

- ახალგაზრდულ ნაკრებში მიწვეული ნავალოვსკი და კახელიშვილი აშკარად გადაღლილები არიან და მათ შვებულება გავუგრძელეთ. რეზო გეწაძემ კი ცხვირის ოპერაცია გაიკეთა და ჯერ ვერ ივარჯიშებს.

**- გეწაძე ახსენეთ და საკადრო საკითხებზეც ვისაუბრობთ. რეზო რიგის "სკონტოს" ეკუთვნის და რჩება თუ ლატვიელები იბრუნებენ?**

- ალბათ, წავა, რადგან ჩვენ არ გვეკუთვნის. თუმცა საბოლოო პასუხს ჯერ ვერ გეტყვით.

**- კიდევ ვინ წავიდა?**

- რეზო გოცირიძის საკითხი გეცოდინებათ. წავიდნენ ძამსაშვილი, ჩხარტიშვილი და ბერუაშვილი. მახვილაძე უკრაინაში, თუ არ მეშლება "ზარიაში" ვარჯიშობდა. ახლა ის ჩამოსულია და მისი საკითხის გარკვევა მსურს.

**- მეორე ცენტრალური მცველი, გიორგი ონიანიც წასვლას აპირებს - "კარლ ცაისში". მოკლედ, ამ პოზიციაზე პრობლემა შეგექმნებათ.**

- ორივე მაღალი კლასის მცველია, პოზიციაც მნიშვნელოვანია, თუმცა შემცვლელები გვყავს. ჩვენ ხომ დათო გიგაური და სერგო ორბელაძე დავიმატეთ.

ამას გარდა, დავიმატეთ თავდამსხმელი ჯაბა დვალი და მცველი ლევან სილაგაძე. ჩვენთან ვარჯიშობს მარცხენა ნახევარმცველი ალეკო კოშკაძეც.

**- ამ ხალხთან უკვე გააფორმეთ კონტრაქტები?**

- კოშკაძესთან ჯერ კიდევ გასარკვევია დეტალები, დანარჩენების საკითხი კი მოგვარებულია.

**- ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ "ოლიმპი" საკადრო რყევებში მოყვა. შეთამაშების პრობლემა კი ჩემპიონთა ლიგის თამაშებამდე უნდა მოგვარდეს, ამისთვის მცირე დრო დარჩა.**

-ამ პრობლემას ბევრი საკონტროლო მატჩით ვუწამლებთ. საწყისი მოსამზადებელი პროცესი მაქსიმუმ ერთი კვირა გაგრძელდება, შემდეგ კი უკვე საკონტროლო თამაშები გვაქვს დაგეგმილი.

**- ევროპაში კროსებით მომზადება ანაქრონიზმად ითვლება. თქვენ ხომ არ აპირებთ მომზადების მეთოდების მათ სტილზე გადართვას, ანუ ნაკლები კროსი და მეტი თამაში?**

- კროსი ამიტომაც დავგეგმე მხოლოდ ერთი კვირა. თუმცა ერთიც არის - ევროპაში არის სხვა გარემო და მენტალიტეტი. მოთამაშეები დასვენების პერიოდშიც ინდივიდუალურად ცდილობენ ფორმის შენარჩუნებას. ჩვენი მოთამაშეებიც იმავეს სიამოვნებით გააკეთებდნენ, მაგრამ მათ იმის შესაძლებლობა არ გააჩნიათ, საკუთარი ხარჯით ტრენაჟორებზე რომ იარონ. თორემ ევროპული მეთოდი რომ პროგრესულია, ეს პრაქტიკაში გამოჩნდა.

**- თავად თქვენთვისაც რთული იქნება მთავარი მწვრთნელის ასისტენტობიდან იმ გუნდის ხელმძღვანელობაზე გადართვა, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე დიდი გამოცდა ელის.**

- ფსიქოლოგიურად, მართლაც დიდი ტვირთია. თუმცა ერთხელ ხომ უნდა გამომეცადა თავი მაღალ დონეზე. მწვრთნელს მისცემენ შანსს და ის ავლენს თავს, ან ვერ ავლენს. ყველაფერი პირველი შანსით იწყება.

**- რა ინფორმაციებს ფლობთ ლიბერიელ და გია გურულის მიერ რეკომენდებულ მოთამაშეებზე?**

- თითქმის არანაირს. ზუსტად ისიც არ ვიცი, როდის ჩამოდიან. ახლა წყდება სავიზო პრობლემები. მთავარია, თვის ბოლომდე შემოგვიერთდნენ და საკონტროლო მატჩებში შევამოწმოთ, რას წარმოადგენენ. მათ ბრმად ვერ ავიყვანთ.

**- უცხოეთში შეკრებას გეგმავთ?**

- უცხოეთში ორი კვირით გასვლა გვსურს, დანარჩენ დროს თბილისში გავატარებთ.

**მერაბ მამულაშვილი**



მალხაზ ასათიანი:

# ყველაფერი წინ მაქვს!

**მალხაზ ასათიანის მოედანზე დაბრუნება კიდევ ერთხელ გადაიდო. არსებობდა იმის მინიმალური შანსი, რომ მას გუშინ „ზენიტთან" ეთამაშა, მაგრამ „ლოკომოტივის" ექიმებმა არ გარისკეს და ქართველ უნივერსალს კიდევ ორი კვირით მოცდა ურჩიეს. „სპორტ-ექსპრესმა" მას საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ ჩამოართვა.**

**- როდის გიხილავთ მოედანზე?**

- სავარაუდოდ, ორ კვირაში. გუნდთან ერთად, უკვე დიდი ხანია, ვვარჯიშობ და სულ მალე ოფიციალურ მატჩშიც ვითამაშებ. მინდა, ოპტიმალური ფორმა რაც შეიძლება მალე დავიბრუნო.

**- სრული დატვირთვით ვარჯიშობთ, თუ რაიმე სახის შეზღუდვები გაქვთ დაწესებული?**

- ზუსტად იმავე სამუშაოს ვასრულებ, რასაც დანარჩენები, ერთადერთი, საჰაერო ორთაბრძოლებს ვერიდები.

**- მსგავსი ტრავმების შემდეგ, ბევრ ფეხბურთელს ხისტი ორთაბრძოლების შიში უჩნდება. ეს თქვენც ხომ არ გემუქრებათ?**

- მერწმუნეთ, არაფრის მეშინია. მჯერა, ფეხბურთს ძველი ასათიანი დაუბრუნდება.

**- მუხლის ტკივილები კიდევ გაწუხებთ?**

- ხანდახან დისკომფორტს ვგრძნობ, უფრო სისუსტეს, ვიდრე ტკივილს. ამის მიუხედავად, მუხლი უკვე ჯანმრთელი მაქვს. ახლა მხოლოდ ფიზიკური კონდიციების აღდგენა მჭირდება.

**- როგორც წესი, ჯვარედინი მყესების მკურნალობას ამდენი დრო არ სჭირდება. თქვენი გამოჯანმრთელება რატომ გაჭიანურდა?**

- 16 ივნისს ოპერაციიდან რვა თვე სრულდება. რა საჭიროა მოვლენების დაჩქარება, ტრავმის განმეორების ალბათობა მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ.

**- იძულებითი უქმობისას თავისუფალ დროს როგორ ატარებდით?**

- ოპერაცია ცსკა-სთან ავადსახსენებელი მატჩიდან ორ კვირაში გამიკეთეს. კიდევ ორ კვირაში ყავარჯნები აღარ მჭირდებოდა და ტრენაჟორებზე ვარჯიშს შევუდექი, სხვადასხვა პროცედურასაც მიტარებდნენ, ასე რომ, თავისუფალი დრო არცთუ ბევრი მქონდა. იშვიათად სასეირნოდ დავდიოდი.

**- ამ რვა თვის განმავლობაში ყველაზე რთული რა იყო?**

- ყველაზე მძიმე იმაზე ფიქრი იყო, რომ ჩემზე არაფერი იყო დამოკიდებული. ისღა დამრჩენოდა, ბედს შევგუებოდი და დაბრუნებისთვის მეცადა.

**- ხომ არ გქონიათ იმის შიში, რომ ფეხბურთს ველარასდროს დაუბრუნდებოდით?**

- რას ამბობთ?! 34 წლის ხომ არ ვარ, ყველაფერი წინ მაქვს!

**- ამხელა პაუზა ადრე არასდროს გქონიათ?**

- არა, ორ თვეზე დიდხანს ლაზარეთში არ ვყოფილვარ.

**- ბიშოვეცის ხელმძღვანელობით ჯერ არ გითამაშიათ. ეს რამეში ხელს ხომ არ შეგიშლით?**

- არა, რა თქმა უნდა. ანატოლი ფიოდოროვიჩისგან თანაგრძნობა და გამხნევება არ მაკლია. მასთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს.

**- თქვენს არყოფნაში „ლოკომოტივის" დაცვის ცენტრში 19 წლის სერგეი ეფიმოვი თამაშობს. მასზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

- სერგეი მწვრთნელთა ნდობას სრულად ამართლებს და საკუთარ ადგილს იოლად არავის დაუთმობს. ისე კი, საკუთარ თავს ვინმეს კონკურენტად არ მივიჩნევ, მთავარია, ფორმა სრულად აღვიდგინო, მერე კი მწვრთნელი გადაწყვეტს, ვინ იმსახურებს ძირითადში თამაშს.

**- რუსეთის თასის ფინალი თუ მოგეწონათ?**

- ძალიან. „ლოკომოტივმა" შესანიშნავი ფეხბურთი ითამაშა და დამსახურებულად გაიმარჯვა.

**- „ზენიტის" შემდეგ, თქვენი გუნდი სტუმრად „ლუჩ-ენერგიასა" და „ტომს" დაუპირისპირდება. ამ შეხვედრებში მონაწილეობას თუ შეძლებთ?**

- წესით, ივნისის ბოლოს აუცილებლად უნდა ვითამაშო, იმედია, ამ მატჩებს არ გამოვტოვებ.

მოამზადა

**ლევან ჯანეზაშვილმა**

ლოკომოტივი

# თბილისელები საგურამოში გადადიან, ყენია კი შალკეში

გუშინ დილით თბილისის "ლოკომოტივი" შეიკრიბა. მთავარი მწვრთნელი **გიორგი კიკნაძე** იმედოვნებს, რომ ბრძოლისუნარიანი გუნდის ჩამოყალიბებას და ხუთეულში მოხვედრას შეძლებს.

*"თბილისში 25 ივნისამდე მოვემზადებით, შემდეგ კი გასვლას ვგეგმავთ. არაა გამორიცხული, მზადების მეორე ეტაპი ლაგოდეხში გავიაროთ", - განაცხადა მწვრთნელმა - "ლოკომოტივში" მნიშვნელოვანი ცვლილებებია - კონტრაქტი დაუმთავრდათ და წავიდნენ ლადო გოჩაშვილი, შოთა ჩომახიძე, ჭიჭიკო თუთბერიძე, მიხეილ სოსელია, აკაკი კუპრეიშვილი".*

კიკნაძემ **ლევან ყენიას** თაობაზეც გვითხრა:

*"გერმანიიდან ველოდებით მიწვევას მე, გუნდის პრეზიდენტი ლექსო თოფურია და ლევანი. თვის ბოლომდე გელზენკირხენში უნდა ჩავიდეთ და "შალკესთან" კონტრაქტის საკითხი გადაწყდეს. გუნდი ყენიას აყვანით დაინტერესებულია და ვნახოთ, საკითხი როგორ მოგვარდება."*

თბილისელებმა ჯერ მხოლოდ ორი მოთამაშე დაიმატეს - ჭაბუკთა ლიგის გუნდიდან ახალგაზრდა ბახტაძე და გიორგი მიქაძე, რომელიც ბოლო დროს საჩხერის "ჩიხურაში" გამოდიოდა.

"ლოკომოტივმა" ჯერ მხოლოდ ორი საკონტროლო მატჩი დაგეგმა - 16 ივნისს დილომში, საკუთარ ბაზაზე "ზესტაფონს" უმასპინძლებს, თბილისის "დინამოს" კი 23 ივნისს, მისავე ბაზაზე, საღამოს 18.00 საათზე შეხვდება.

დაბოლოს, შესაძლოა, "ლოკომოტივი" აგვისტოდან საგურამოში მშენებარე საკუთარ ბაზაზე გადაბარგდეს. გუნდის სპორტული დირექტორის, **ირაკლი ჩოთალაშვილის** თქმით, ბაზაზე ოთხი მოედანი კეთდება. მთავარი არენა 6000 მაყურებელს დაიტევს, თანამედროვე განათება დამონტაჟდება, იქნება სტადიონისთვის აუცილებელი ყველა ოთახი და ა.შ. გაიყვანენ ინტერნეტის ხაზს და მატჩების პირდაპირი რეპორტაჟის ყურება კომპიუტერით იქნება შესაძლებელი.

არაა გამორიცხული, "ლოკომოტივმა" ჩემპიონატის საშინაო მატჩებს საგურამოში უმასპინძლოს, რადგან ძალიან მაღალი დონის სტადიონი და ბაზა შენდება. მთავარ მოედანზე ბალახი უკვე ამოვიდა და სწორედ ეს აიმედებს თბილისური კლუბის ხელმძღვანელობას, რომ აგვისტოდან საკუთარ სახლში დაბინავდებიან და ივარჯიშებენ.

**მერაბ მამულაშვილი**



გიორგი კიკნაძე

## ქალაძე ქალებს არჩევდა

9 ივნისს ლისაბონში ფიგუს მეგობრებისა და მსოფლიო ნაკრების მატჩზე ორი ქართველი მიიწვიეს - **შოთა არველაძემ** ითამაშა, "მილანის" მცველი **კახა კალაძე** კი მოედანზე არ გამოჩენილა. მისი არყოფნის მიზეზი უცნობი იყო.

უკრაინულმა გაზეთმა "კორესპონდენტმა" საქმეში გაგვარკვია - თურმე კახა ამ ქვეყანაში ისვენებს, უკრაინის ათი საუკეთესო მანდილოსნის დაჯილდოებას დაესწრო და ერთ-ერთი მათგანს პრიზი გადასცა კიდეც.

დაილალა კაცი ფეხბურთით და ქალებზე გადაერთო. ახალგაზრდა, მარტოხელა კაცის ნაწილობრივ გვესმის. თუმცა ერთი მხრივ გული გვწყდება, რომ ფიგუს მეგობრებსა და მსოფლიო ვარსკვლავებში ერთბაშად ორი ქართველი რომ ვერ ვიხილეთ. ასეთი რანგის მატჩში ქართველები ადრეც მიუწვევიათ, მაგრამ ერთბაშად ორი არასდროს და ახლა შეიძლებოდა ეს მომხდარიყო.

**მერაბ მამულაშვილი**



რომან გოგინაშვილი

## სამი ქართველი ბელარუსში

ბელარუსში მერვე ტურის მატჩები გაიმართა, ქართველ ლეგიონერთა კლუბებმა ასე იასპარეზეს: დებიუტანტი "სმორგონი" შინ "გომელს" დაუზავდა - 1:1, ბრესტის "დინამო" სტუმრად "ტორპედოსთან" დამარცხდა - 0:1, მოგილევის "დნეპრმა" კი შინ 2:1 მოუგო "მტზ-რიპოს". "სმორგონი" 10 ქულით მეშვიდეა, "დნეპრი" 9 ქულით მეცხრეა, ხოლო "დინამო" 8 ქულით მეთერთმეტე ადგილზეა 14-გუნდიან ჩემპიონატში. "სმორგონის" შემადგენლობაში 59-ე წუთამდე ითამაშა **სულიკო კაკაბაძემ**. **რომან გოგინაშვილმა** ბელარუსის თასის მფლობელთა რიგებში პირველი ტაიმი ითამაშა. "მტზ-რიპოს" დამარცხებაში თავისი წვლილი **ალექსანდრე შუბლაძემაც** შეიტანა, რომელიც თამაშში 71-ე წუთზე ჩაერთო.

## ჯიქია ისევ უმაღლესშია

დასრულდა პოლონეთის მეორე ლიგის გათამაშება, ჩემპიონი ხოჟუვის "რუხი" გახდა, სადაც ქართველი ლეგიონერი **მამია ჯიქია** ასპარეზობს. ხოჟუველებმა ჩემპიონატი 69 ქულით დაასრულეს, და უახლოესი მეტოქე 6 ქულით ჩამოიტოვეს. ბოლო ტურში "რუხმა" "პოდბესკიძიე" გაანადგურა - 4:0. მამიას ამ მატჩში არ უთამაშია და საერთოდაც, რაც სეზონის მეორე ნახევარში უმაღლესი ლიგის ლკს-დან ხოჟუვში დაბრუნდა მხოლოდ ორჯერ ითამაშა.

## ქართველთა გარეშე

ლიტვის A ლიგის მეცამეტე ტურში ჩემპიონმა "კაუნასმა" დაძაბული ბრძოლა მოიგო სტუმრად "ატლანტასის" წინააღმდეგ - 2:1. ამ მატჩში "კაუნასის" ქართველებს არ უთამაშიათ, **ნუკრი მანჩხავა** სათადარიგო იყო, ხოლო **გივი კვარაცხელია** განაცხადში არ ყოფილა. "შილიუტეს" შემადგენლობაში არ უთამაშია **აკაკი ხუბუტიას**, მის გარეშე "შილიუტემ" 2:1 მოუგო "შაულიაის". "კაუნასი" 32 ქულით ერთპიროვნული ლიდერია, "შილიუტემ" (8 ქულა) კი მოგებით ბოლო ადგილს დააღწია თავი.

## პერტია მთავარია

გაიმართა მე-12 ტურის მატჩები ლატვიაში, ჩემპიონმა "ვენტსპილსმა" სტუმრად 4:2 მოუგო "დინაბურგს" რიმკუსის ჰეთ-თრიკის წყალობით. ძალზე უხვგოლიანი გამოდგა რიგის დერბი, "სკონტო" "რიგას" 4:4 დაუზავდა. "ვენტსპილსი" 21 ქულით მესამე ადგილზეა, "სკონტოს" კი 19 ქულა აქვს და მეოთხეა. ჩემპიონატს 28 ქულით "მეტალურგსი" ლიდერობს, "რიგა" (24 ქულა) მეორეა. სკონტოელთა შორის **ზაალ ელიავა** სათადარიგო იყო, თუმცა მას თამაშში ჩართვა უკვე მე-6 წუთზე მოუწია, ქართველმა თამაში კი ჩაამთავრა, მაგრამ მსაჯმა მას წითელი ბარათი საფინალო სასტვენის მერე უჩვენა, ასე რომ ელიავა შემდეგ ტურში "სკონტოს" ვერ დაეხმარება. ზაალმა მატჩის 87-ე წუთზე საგოლე პასი მიითვალა და ამით "სკონტო" 4:3 დაწინაურდა, თუმცა თამაშის ბოლომდე ანგარიშის შენარჩუნება კლუბმა ვერ შეძლო. არ უთამაშია **დავით გამეზარდაშვილს**, რომელიც სათადარიგო იყო.

**ზურაბ მენთეშაშვილმა** "ვენტსპილსის" მაისურით შეუცვლელად ითამაშა, ზურამ მეათე წუთზე ძელს გაარტყა ბურთი, ქართველმა ნახევარმცველმა ყვითელი ბარათი პირველი ტაიმის მიწურულს მიიღო. აღსანიშნავია, რომ "დინაბურგს" ქართველი **თამაზ პერტია** წვრთნის, ის ჯერჯერობით მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელია, რაც **სერგეი პოპკოვმა** კლუბი პირადი მიზეზით დატოვა. სხვათა შორის, "დინაბურგში" ორი ქართველი ირიცხება **გიორგაძე** და **სვანიძე**, ორივე დუბლებში თამაშობს.



ლევან მელქაძე

## შახტიორმა მოიგო

ყაზახეთში მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. ყარაღანდის "შახტიორი" "ატირაუს" ესტუმრა და 5:0 გაანადგურა. სამწუხაროა, რომ სასტარტოში ხშირად ვერ ხვდება **ლევან მელქაძე**, არადა გუნდს ტრავმების გამო თავდამსხმელებში უჭირს. დებიუტანტმა "კაისარმა" 2:0 მოუგო "ტარაზს". **გიორგი გოგიაშვილი** ყველაზე აქტიური იყო მასპინძელთა შორის. **გიგა ჟვანიასა** და **ზვიად ჯელაძის** "ვოსტოკმა" 3:2 მოუგო "ეკიბასტუზეცს", რომლის ღირსებას **ზურაბ არჩვაძე** იცავს. "შახტიორი" 23 ქულით მეოთხე ადგილზეა, "კაისარი" 17 ქულით მეექვსეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## სირაძე კარგი შენაძენიაო

მომავალ სეზონში "პადერბორნის" ხელმძღვანელობა მაღალი მიზნებისთვის აპირებს ბრძოლას. კლუბის შეფები დარწმუნებულნი არიან, რომ პირველ ბუნდესლიგაში აღზევება სავსებით რეალურია. ცნობისთვის, "პადერბორნმა" გასული სეზონი მე-11 ადგილზე დაასრულა.

კლუბის სპორტულმა დირექტორმა **მიხაელ ბორნმა** თითოეული ახალწვეული მოკლედ დაახასიათა. *"მებრძოლი ფორვარდია, აქვს საკმაოდ კარგი საგოლე ალღო და თავადაც შეუძლია მომენტის შექმნა. უკვე რამდენიმე გერმანულ გუნდში იასპარეზა და მისი პროგრესი აშკარაა. დარწმუნებული ვარ, ჩვენს გუნდს დიდ სამსახურს გაუწევს"*, - ამბობს იგი **დავით სირაძეზე**.

ქართველი თავდამსხმელის გარდა, "პადერნბორმა" კიდევ რამდენიმე მეტნაკლებად ცნობილი ფეხბურთელი გადაიბირა, მათ შორის ვეტერანი გოლკიპერი **ალექსანდერ ბადე**, რომელიც თავის დროზე საქართველოს ნაკრების პოტენციურ წევრად მოიაზრებოდა და ახალგაზრდა მცველი **თომას კლესენერი**, რომელსაც **ლევან კობიაშვილის** მხარდამხარ "შალკეში" უთამაშია.

**ლევან ჯანეზაშვილი**



დავით სირაძე (43)

ფუტზალი

## ოქტომბერში ბრაზილიაში, ნოემბერში შინ ინგლისთან

გადაწყვეტილი ამბავია, საქართველოს ფუტზალის ნაკრები 13 და 15 ოქტომბერს ბრაზილიის ეროვნულ გუნდს სტუმრად ორ ამხანაგურ მატჩს ეთამაშება. 16-27 ოქტომბერს კი ბრაზილიაში დიდ საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. საქართველოს ფუტზალისა და პლაჟის ფეხბურთის ასოციაციის გენერალურ მდივან **ბექა კვიციანის** თქმით, ბრაზილიურ მხარესთან ყველა საკითხი შეთანხმებულია. ქართული დელეგაციის სამხრეთ ამერიკაში მასპინძლობის ხარჯებს მთლიანად ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაცია გაიღებს.

საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოს ნაკრებს, ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს – **პეტრე თაბუკაშვილი**. კვიციანის განცხადებით, მალე ნაკრები მოსამზადებელი შეკრებისთვის ურეკში გაემგზავრება.

გარდა ამისა, არანაკლებ სასიხარულოა მეორე ინფორმაციაც. ინგლისელებმა ოფიციალურად დაადასტურეს, რომ შემოდგომით საქართველოში ჩამოვლენ. შეთანხმების მიხედვით, 26 ნოემბერს თბილისს ინგლისის ფუტზალის ნაკრები სამი დღით ეწვევა. 27 და 28 ნოემბერს კი საქართველოსა და ინგლისის ფუტზალის ეროვნულ გუნდებს შორის ორი ამხანაგური მატჩი გაიმართება.

**დავით ცაბაძე**

## დინამოს აკადემიის დუბლი

"დინამოს" აკადემიის სამივე ასაკობრივი (1989, 1990, 1991 წლებში დაბადებულები) გუნდი ჩემპიონი რომ გახდა, ამ ცოტა ხნის წინ ვწერდით. გუშინ ასაკით ყველაზე უფროსები, 1989 წელში დაბადებულები 35-ე სკოლის თანატოლთა გუნდს დაუპირისპირდნენ სუპერთასზე, 3:1 მოიგეს და დუბლი მიითვალეს. გუნდიდან **გოჩა ჯოხაძის** ვაჟმა **გიორგიმ** დუბლი მიითვალა (35-ე და 42-ე წუთებზე გაიტანა), მესამე ბურთი კი 39-ე წუთზე **ზვიად ჭადიაშვილმა** გაიტანა. საგულისხმოა ისიც, რომ გიორგი ჯოხაძემ დუბლის გარდა მესამე გოლშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო.

დინამოელთა კარს, საფრანგეთთან მატჩის წინ ეროვნულ ნაკრებში გამოძახებული **გიორგი მაკარიძე** იცავდა. "დინამოს" აკადემიის გუნდში ცნობილი დინამოელების შვილებმა ითამაშეს - **ნიკა ჯიშკარიანმა, ვაჟა ნემსაძემ, ლაშა ჩადუნელმა**.

**დავით ცაბაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, მოგვწერე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერდერი

# კლოზე: ლიონსაც ვუნდივარ

## ფრანგებმა ბრემენელებს მიროს ნაცვლად ალუ დიარა შესთავაზეს, მუსიკოსები კლოზეს შემცვლელს კარლოს ალბერტოში ხედავენ...

"ვერდერისა" და "ბაიერნის" ხელმძღვანელებმა **მიროსლავ კლოზეს** შესახებ საუბარი შეწყვიტეს და დუმან. უფრო სწორად, როგორც ბრემენული კლუბის მენეჯერი **კლაუს ალოფსი** ამბობს, აგერ უკვე 14 დღეა, რაც მიუნხენელთა მხრიდან კლოზეს შესახებ არაფერი თქმულა. 14 დღის წინათ კი, ბავარიელთა მენეჯერი **ული ჰიონესი** ალოფსს დაუკავშირდა და პირდაპირ უთხრა, თუკი მიროს დაგვითმობთ, ჩვენგან 10 მილიონ ევროს მიიღებთო. მაგრამ "ვერდერის" ბოსს ეს თანხა სასაცილოდ არ ეყო. კლაუსმა ულის საპასუხოდ, კლოზეს **ლუკას პოდოლსკიში** გაცვლა შესთავაზა, რაზეც ჰიონესისგან მაშინვე უარი მიიღო. შესაბამისად, მოლაპარაკებების პირველი სტადია, როგორც მოსალოდნელი იყო, კონსენსუსის გარეშე დასრულდა.

*"მირო "ვერდერის" სამომავლო გეგმებში კვლავინდებურად ფიგურირებს და თუკი ვინმე ფიქრობს, რომ ჩვენ მისი გაყიდვა გადავწყვიტეთ, ძალიან ცდება. თუ მიუნხენელები მიიჩნევენ, რომ ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს, გარდა იმისა, რომ მათ კლოზე მივყიდოთ, მაშინ მე ირონიულად ჩავიცინებ და ვიტყვი: მოვითმინოთ!"* - აცხადებს ალოფსი, მიუხედავად იმისა, რომ სლოვაკეთთან მატჩის შემდეგ კლოზემ აღიარა, ადრე თუ გვიან, "ბაიერნში" მაინც გადავალ და უმჯობესი იქნება, რომ ეს ყველაფერი რაც შეიძლება მალე მოხდესო. "ვერდერის" ბოსი ხაზს უსვამს იმას, რომ შემადგენლობა, რომელიც მომდევნო სეზონში ითამაშებს, დაკომპლექტებულია და რომ მირო ამ შემადგენლობის განუყოფელი ნაწილია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კლოზეს გადაბირებაზე ხელი ჯერ არც "ლიონის" ხელმძღვანელებს ჩაუქნევიათ. მეტიც: ჩვენი გერმანელი კოლეგები იტყობინებიან, რომ საფრანგეთის ჩემპიონი ძალიან გააქტიურდა და ყველა ღონეს იხმარს, რათა მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ხელში ჩაიგდოს. *"დიახ, ფრანგული გრანდის ხელმძღვანელები ბოლო დღეებში ჩემს მრჩეველს*



მიროსლავ კლოზე

*არაერთხელ დაუკავშირდნენ. ამაზე მეტს არაფერს ვიტყვი,"* - ამბობს კლოზე, რითაც ადასტურებს, რომ მისთვის "ლიონიც" თავგამოდებით იბრძვის.

თუკი "ვერდერი" "ბაიერნთან" ან "ლიონთან" შეთანხმებას მიაღწევს, გამოდის, რომ ბრემენელებმა სასწრაფოდ მიროს შეცვლაზე ზრუნვა უნდა დაიწყონ. "კიკერის" ცნობით, ალოფსმა თადარიგი უკვე დაიჭირა და რამდენიმე თავდამსხმელის ყიდვის ვარიანტს განიხილავს. თუმცა, გამორიცხული არც ისაა, რომ კლოზეს გასხვისების შემთხვევაში, ბრემენელებმა ფორვარდი აღარ იყიდონ, სამაგიეროდ, მიროს სანაცვლოდ მიღებული ფული ნახევარმცველს დაახარჯონ.

გაირკვა, რომ "ლიონმა" ბრემენულ კლუბს კლოზეს ნაცვლად საყრდენი შუამარბი **ალუ დიარა** შესთავაზა. ცნობილია ისიც, რომ "მუსიკოსები" ბრაზილიელი თავდამსხმელით, **კარლოს ალბერტოთი** არიან დაინტერესებულები, რომელმაც ბრემენში კლოზე უნდა შეცვალოს. აღსანიშნავია, რომ "ფლუმინენსეს" ამ თავდამსხმელს "ჰამბურგიც" ეპატიჟება, მაგრამ აი, რას ამბობს ალოფსი: *"მოთმინება უნდა ვიქონიოთ. ვნახოთ, რა და როგორ იქნება. ფაქტი ერთია: თუ ჩვენ კარლოს ალბერტოს ყიდვას მოვისურვებთ, ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ ის ჩვენთან გადმოვა!"*

ცნობილია, რომ "ვერდერს" ნახევარმცველები **დანიელ იენსენი** და **ლეონ ანდრეასენი** დატოვებენ. პირველ მათგანს "ოსასუნა" და "ესპანიოლი" უხმობენ, "მაინციდან" (განათხოვრებული იყო) დაბრუნებულ ანდრეასენს კი, რომელმაც გერმანიის პირველობის მეორე წრეში შესანიშნავად ითამაშა, "აინტრახტიდან", "ჰანოვერიდან" და "ჰერტადან" აქვს წინადადებები.

**გოტფრიდ ლენცი**

## არსენალს არაბები ყიდულობენ?

"სანის" ცნობით, არაბი შეიხი, რომელსაც "ლივერპულის" შეძენა სურდა, ახლა "არსენალს" უმიზნებს. დეკემბერში დუბაელმა შეიხმა **მუჰამედ ალ მაქთუმმა** მერსისაიდელებს 450 მილიონი გირვანქა შესთავაზა. ლივერპულელებმა ამერიკელი **ჯორჯ ჯილეტისა** და **ტომ ჰიკსის** 470 მილიონი აირჩიეს. არაბმა მილიარდერმა სასურველი საინვესტიციო პროექტის ძებნა განაგრძო და "ემირეტს სთედიუმზე" მივიდა. ინვესტორის როლში დუბაიში რეგისტრირებული კომპანია "ზაბეელ ინვესტმენტი" გამოდის. მისი აღმასრულებელი დირექტორი **მოჰამედ ალ ჰაშიმია**. მოსალოდნელი გარიგების ფინანსური დეტალები უცნობია.



ლუდოვიკ ჟიული

ბარსელონა. ტრანსფერები

# დიდი წმენდა კამპ ნოუზე

## ჟიული მონაკოს უარს ეუბნება და მარსელში მიდის?

"ბარსელონა" მასშტაბური საკადრო წმენდისთვის ემზადება. ფეხბურთელებს იმ შემთხვევაშიც გაუშვებენ, თუ მომავალ უქმეებზე სასწაული მოხდება და კატალონიელები ჩემპიონობას შეინარჩუნებენ. ესპანური სააგენტოების ცნობით, "ბარსას" ერთბაშად რვა მოთამაშე დატოვებს. კლუბის ემისრებმა მკლავები უკვე დაიკაპიწეს. მათ **სანტი ესკეროს, ეიდურ გუდიონსენს, ტიაგო მოტას: ჯოვანი ვან ბრონკჰორსტს, რაფაელ მარკესს, სილვინიოს, ედმილსონსა** და **ლილიან ტურამს** ახალი კლუბები უნდა მოუძებნონ.

**ფრანკ რიიკაარდს** სასურველი მოთამაშეების სიაც შედგენილი აქვს. რამდენიმე კვირაა, ინტენსიურად განიხილება **გაბრიელ ჰაინცეს** საკითხი. არგენტინელი მცველი მანჩესტერიდან აბარგებას არ ჩქარობს. ის "კოპა ამერიკაზე" მიემგზავრება, ტრანსფერზე კი ვენესუელიდან (ამერიკის თასი ამ სახელმწიფოში ჩატარდება) დაბრუნების შემდეგ იფიქრებს. "ბარსა" 5 მილიონ გირვანქას ამზადებს. ჰაინცე "იუნაიტედში" სამი წლის წინათ პარი სენ ჟერმენიდან გადავიდა. 2004 წელს "ეშმაკებმა" 6.9 მილიონი გადაიხადეს.

ბარსელონელებს **ლუდოვიკ ჟიულის** გაშვებაც სურთ. მათ მონაკოელ ნახევარმცველ **იაია ტურეს** დაადგეს თვალი და პრინსიპატელებს ფეხბურთელების გაცვლა შესთავაზეს. "მონაკო" კოტდივუარელ ლეგიონერს 15 მილიონ ევროდ აფასებს. ჟიული მხოლოდ 4 მილიონი ღირს. ლუდოვიკის გარდა, "ბარსა" მზადაა, 7.5 მილიონი გირვანქაც გადაიხადოს. ჟიულის "მონაკოში" დაბრუნება არ სურს. მას გული "მარსელისკენ" მიუწევს.

ინტერი

# ფიგუ საგარეო საქმეთა მინისტრად

## უკვე ოფიციალურად: პორტუგალიელი ვეტერანი ინტერში ერთ სეზონსაც გაატარებს...

**ლუიშ ფიგუ** "ინტერში" კიდევ ერთ წელინადს დარჩება. უფრო სწორად, გუნდში გაატარებს მომავალ სეზონს, თორემ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ცხოვრების ბოლომდე "ინტერისტა" იქნება. ლუიშმა ყველაფერი 24 საათში გადაწყვიტა. შაბათს მისი საქველმოქმედო ფონდის მიერ ორგანიზებული ვარსკვლავთა მატჩი გაიმართა. შოუს შემდეგ, ის ჟურნალისტებს ესაუბრა. მედიის კითხვები, ძირითადად, ვეტერანის კარიერას უკავშირდებოდა. როგორც ვწერდით, ფიგუმ არ დამალა, რომ ყველა წინადადებაზე უარი თქვა, და რომ მხოლოდ ერთ კითხვას უსვამდა საკუთარ თავს - "ინტერი" თუ პენსია?

*"კარგად ვხედავ ჩემი პერსონისადმი დამოკიდებულებას, როგორც ფანების, ისე პრეზიდენტის, მწვრთნელისა და თანაგუნდელების მხრიდან. ამ ხალხის მიმართ ცხოვრების ბოლომდე მადლიერი ვიქნები. და უკვე გადავწყვიტე, სხვა კლუბებთან მოლაპარაკებები შევწყვიტო. თუ ფეხბურთში დავრჩები, ეს იქნება მხოლოდ "ინტერში" და არსად სხვაგან. ალტერნატივა პენსიაა".*



ლუიშ ფიგუ ინტერის ერთგულია

ეს ითქვა შაბათს, გუშინ კი "ნერაძურის" ხელმძღვანელობამ ასეთი განცხადება გაავრცელა: *"ლუიშ ფიგუმ დაუდასტურა კლუბს, რომ სურვილი აქვს, "ინტერში" კიდევ ერთი სეზონი გაატაროს. იმ შეთანხმების საფუძველზე, რაც კლუბსა და ფეხბურთელს შორის არსებობდა, მისი კონტრაქტი 2008 წლის 30 ივნისამდე გაგრძელდა".*

მაგრამ არც ესაა ყველაფერი. ამავე განცხადების გაგრძელებაა კიდევ ერთი შეთანხმება იმასთან დაკავშირებით, რომ 2008 წლის ივლისიდან, როცა ფიგუ ფეხბურთს თავს დაანებებს, "ინტერის" ერთ-ერთი დირექტორი გახდება და კლუბის საგარეო საქმეების მოგვარებით დაკავდება.

იუვენტუსი

# მშვიდობით! დამიბრუნეთ ჩემი გოლები!

## ტრეზეგე და იუვე: გარდაუვალი განშორება. კამორანეზიც ჩემოდნებზეა



დავიდ ტრეზეგე წასასვლელად ემზადება

**დავიდ ტრეზეგე** და "იუვენტუსი" სკანდალურად იყრებიან. 2000 წლიდან მოყოლებული, როცა ფრანგმა ფორვარდმა ბედი "ბებერ ქალბატონს" დაუკავშირა, ლამის ყოველი სეზონის ბოლოს ელოდნენ მის აბარგებას, მაგრამ დღეს ეს ნამდვილად გარდაუვალია. ტრეზეგემ ტურინს ხელი დაუქნია, თან, "იუვეს" ხელმძღვანელობა გვარიანადაც გამოლანძღა.

მაინც რა მოხდა ასეთი? გუშინ, ვწერდით, რომ "იუვენტუსის" პრეზიდენტმა **ჯოვანი კობოლი ჯილიმ** მკაცრად გააფრთხილა ფეხბურთელი, "ინტერში" გადასვლისგან თავი შეეკავებინა. შეფს არ სურდა, რომ შარშანდელივით, როცა **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** ტურინიდან სწორედ "ინტერს" მიაშურა, კონკურენტი კლუბი კიდევ ერთი ფეხბურთელით გაეძლიერებინა. კობოლი ჯილის სიტყვებმა ტრეზეგე უკიდურესად აღაშფოთა. კიდევ უფრო გაღრმავდა ეჭვი, რომ კვირას დავიდმა "იუვენტუსის" მაისურა უკანასკნელად მოირგო. ეს ეჭვი გუშინ რეალობად იქცა. აი, "ტრეზეგოლის" კომენტარიც:

*"ეს კლუბი მე პატივს არ მცემს. მათ იმდენად მიუღებელი წინადადება შემომთავაზეს, მაშინვე მივხვდი, რომ სხვა არჩევანი ჰქონდათ გაკეთებული. არადა, მე შევასრულე ის პირობა, რაც სეზონის წინ დიდიე დეშამს მივეცი: გავიტანე 15 გოლი. ტურინში 7 წელიწადი დავყავი და კლუბის ურიცხვ ფანებში, რომლებიც მთელ მსოფლიოში არიან, დიდი ნდობა და სიყვარული მოვიპოვე. ამას ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობდი. იგივეს ვიტყოდი თანაგუნდელებზეც. მაგრამ კლუბის დღევანდელ ხელმძღვანელობას სხვა ხედვა აქვს. ეს მათი საქმეა. მე კი ვიცი, რომ "იუვენტუსისთვის" ყველაფერი გავილე, რაც შემეძლო. ასე რომ, მივდივარ და თან მიმაქვს ამ წლების განმავლობაში გატანილი 140 გოლი. ახლა ყველანაირ მოლაპარაკებას აზრი დაკარგული აქვს. კიდევ ვიმეორებ: აშკარად დავინახე, რომ "იუვენტუსს" არ ვუნდივარ. გული მწყდება ფანების გამო, მაგრამ იმედი მაქვს, ამ კლუბის ისტორიაში ჩემი ფურცელი ჩავწერე. მომავალი? ჯერ არ ვიცი. ვნახოთ, რა მოხდება".*

**კლაუდიო რანიერის** მოსვლის შემდეგ, ერთადერთი ფეხბურთელი, ვინც ახალი და უაღრესად მნიშვნელოვანი კონტრაქტი გააფორმა, **ჯანლუიჯი ბუფონი** გახლდათ. მაგრამ ამავე დროს, ჩანდა, რომ ტრეზეგეს მიმართ ამგვარი მოთხოვნა არ იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ ფრანგი ფორვარდის წასვლა რანიერის, მაინც და მაინც, არ ანაღვლებს. "იუვეს" გენერალური მენეჯერი **ჟან-კლოდ ბლანი** ტრეზეგეს საკითხზე ასეთ კომენტარს აკეთებს:

*"ადვილია, ყველაფერში მარტო კლუბი დაადანაშაულო. ჩვენ დავიდს სექტემბერშიც შევთავაზეთ კონტრაქტის გაგრძელება, მერე ოქტომბერშიც, ნოემბერშიც... მაგრამ ის ყოველთვის უარზე იყო. ვფიქრობ, არც ახლაა გვიან, განვაახლოთ მოლაპარაკებები და რაღაც გადაწყვეტილებამდე მივიდეთ, მაგრამ დავიდს უნდა ახსოვდეს, რომ "იუვენტუსის" მაისურის ტარება უდიდესი პატივია. არ არის სწორი, თითქოს ჩვენ მას პატივს არ ვცემთ. "იუვემ" დიდი ხნის წინათ განაცხადა, რომ ყველა წამყვანი ფეხბურთელის შენარჩუნება სურდა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი მოტივირებულები იქნებოდნენ. იმ მოთამაშეებთან, რომლებიც მზად არიან დისკუსიისთვის, კონტრაქტის საკითხებზე მოლაპარაკება ყოველთვის ადვილია, მაგრამ მე არ ვიცი, რა მოხდება იმ შემთხვევაში, როცა ფეხბურთელს მოტივაცია აღარ აქვს და წასვლა უნდა. ასეთ დროს მოლაპარაკებები რთულდება. მაგრამ ვიმეორებ, ჩვენ მაინც მზად ვართ ამისთვის. იმასაც დავამატებდი, რომ ამგვარი საკითხები კლუბის შიგნით უნდა წყდებოდეს და არა გაზეთის ფურცლებზე".*

ერთი სიტყვით, ტრეზეგეს ერა დასრულებულია. როგორც ადრე გაუწყეთ, მას წინადადებები აქვს ესპანეთიდან და საფრანგეთიდან. ყველაზე დიდ ინტერესს ამ მომენტისთვის "ლიონი" იჩენს.

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელიც "იუვენტუსის" დატოვებას აპირებს, **მაურო კამორანეზია**. მისმა აგენტმა **სერჯო ფორტუნატომ** კლუბთან მორიგების იმედი დაკარგა. კამორანეზი თვლის, რომ გაცილებით მაღალ ანაზღაურებას იმსახურებს, ვიდრე "ქალბატონი" უხდის (1.7 მილიონი გირვანქა წელიწადში). ფორტუნატო მისი კლიენტით სხვადასხვა კლუბების ("რომა", "ინტერი" და "მილანი") დაინტერესებაზე სპეკულირებს. მეტიც, აგენტი აცხადებს, რომ გასულ ზაფხულს, კამორანეზის შეძენის სურვილით, მას პირადად **რობერტო მანჩინი** დაუკავშირდა. ფეხბურთელს "რომაში" გადასვლა სურს, თუმცა ცნობილია, რომ იქ მოთამაშეთა წლიური ანაზღაურება მკაცრად ლიმიტირებულია და 1.7 მილიონ გირვანქას არ აჭარბებს (გამონაკლისი მხოლოდ **ფრანჩესკო ტოტია**). ზუსტად ამდენს იღებს ის "იუვენტუსში". მაშ, რა აზრი აქვს "რომაში" გადასვლას?

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზეიმი ნეაპოლის ქუჩებში

იტალია. სერია B

# დაბრუნება სამოთხეში

## ნაპოლი და ჯენოა ისევ ელიტაში...

## თუმცა გენუელთა პრეზიდენტ ენრიკო პრეციოზისა და კლუბს კვლავ ჯოჯოხეთში ყოფნა ემუქრებათ

უცნაური ამბები ხდებოდა კვირას, გენუის "სტადიო მარასიზე". სერია A-ში გადასვლისთვის აქ უშუალო დაპირისპირება შედგა "ჯენოასა" და "ნაპოლის" შორის. გამარჯვებული ავტომატურად ინაღდებდა ელიტის საგზურს, დამარცხებულს კი ფლეი ოფში მოუწევდა ურთიერთობის გარკვევა "პიაჩენცასთან". მაგრამ ამ უკანასკნელმა კონკურენტებს დაუვიწყარი "საჩუქარი" გაუკეთა - ფრედ ითამაშა "ტრიესტინასთან" და ისე გამოვიდა, რომ "მარასიზე" დაფიქსირებული ნულებით ორივე მეტოქემ იხეირა. და მართლა უცნაური სანახავი იყო ეს "მარასი", იგივე "ლუიჯი ფერარისი" (სადაც "სამპდორიაც" თამაშობს), რომლის მინდორსა თუ ტრიბუნებზე ორივე ბანაკი თავდავიწყებით ზეიმობდა გამარჯვების მომტან ფრეს...

დღეს, ნეაპოლში, ყველას პირზე აკერია კლუბის პრეზიდენტ **აურელიო დე ლაურენტისის** სახელი, კაცისა, რომელმაც 2004 წელს გაკოტრებული და სერია C-ში დაქვეითებული "ნაპოლი" ჩაიბარა და სამი წლის თავზე იტალიის უმაღლეს დივიზიონში ალაზევა:

*"ჩვენ გრძელი გზა გავიარეთ ჯოჯოხეთიდან სამოთხისკენ. ვერ ვიტყოდი, რომ ამ გამარჯვებას ყველა ელოდა. ვამბობდი, რომ სიმშვიდე იყო საჭირო. ამ მომენტისთვის, ჩვენ გვყავს საკმაოდ ახალგაზრდული გუნდი, რომლის ჩამოყალიბების პროცესი 30 თვის წინათ დაიწყო".*

ახლა დგება საკითხი, ვინ უხელმძღვანელებს "ნაპოლის" მომავალ სეზონში, რომელიც, მთელი რიგი მიზეზების გამო, გაცილებით რთული იქნება. ლოგიკურია, რომ ასეთ დროს კლუბის პრეზიდენტმა აქცენტი ახალ, გამოცდილ სპეციალისტზე გააკეთოს. დე ლაურენტისი მადლობას უხდის **ედუარდო რეიასა** და კლუბის გენერალურ დირექტორ **პიერპაოლო მარინოს**, რომლებმაც მის პროექტში ცენტრალური როლი ითამაშეს: *"დიდი მადლობა მათ უზომო მოთმინების, თავდადებისა და კლუბის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებების მხარდაჭერაში. ჩვენ ახლა აღორძინების საწყის სტადიაზე ვართ და ბუნებრივია, დღეიდან მოვითხოვ, სხვა ტიპის ფეხბურთი ვითამაშოთ".*

"ნაპოლი", რომელიც სერია A-ს 6-წლიანი განშორების შემდეგ დაუბრუნდა, მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი გუნდის შექმნას, რომელიც ელიტას აღარასოდეს დატოვებს და მეტიც, ძველ დიდებასაც დაიბრუნებს. აი, რას ამბობს გენერალური დირექტორი პიერპაოლო მარინო:

*"ამ გუნდის ერა სამი წლის წინათ დაიწყო, მას შემდეგ, რაც კლუბს მხსნელის როლში ბატონი დე ლაურენტისი მოევლინა. ეს მართლაც პირველი ნაბიჯებია, მაგრამ ჩვენ ფასდაუდებელი გამოცდილება შევიძინეთ "იუვენტუსთან", "ჯენოასთან" და სხვა ძლიერ კლუბებთან კონკურენციით. სერია A-ს საგზური აბსოლუტურად დამსახურებულია. ეს მარტო იმადაც ღირდა, რომ ჩვენი ფანები გაგვეხარებინა".*

ფანებისადმი სამადლობელი სიტყვები მართლაც გულწრფელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ "სან პაოლოზე" სერია B-ს მატჩებს საშუალოდ 40 ათასი მაყურებელი ესწრებოდა (იტევს 85 ათასს). ამ მაჩვენებლით, იტალიის უმაღლესი დივიზიონის ბევრი კლუბი ვერ იამაყებს.

რაც შეეხება მწვრთნელს. უზომოდ გახარებული რეიაც ტიფოზებს ემადლიერება: *"რომ არა მათი უდიდესი მხარდაჭერა, სერია A-ში დაბრუნება ძალიან გაგვიჭირდებოდა. ასევე უდიდეს მადლობას ვუხდი კლუბის ხელმძღვანელობას, რომელმაც მშვიდ გარემოში მუშაობის საშუალება მომცა, და რა თქმა უნდა, ფეხბურთელებს, რომლებმაც ამ ტრიუმფში საკვანძო როლი ითამაშეს. ორ წელიწადში ორი ალზევება ადვილი არ არის".*

რეია აცხადებს, რომ დე ლაურენტისმა და მარინომ მას უკვე შესთავაზეს კონტრაქტის გაგრძელება. მწვრთნელს უარი არ უთქვამს, თუმცა თანხმობა არ განუცხადებია. რეიამ მოფიქრებისთვის დრო ითხოვა:

*"კონტრაქტის საკითხზე ამ დღეებში დავიწყებთ დისკუსიებს. დარწმუნებული ვარ, მოლაპარაკებებისას პრობლემები არ იქნება. მაგრამ ჯერ მინდა, ყველაფერი კარგად გავიაზრო... და ცოტა ხნით გონება დავასვენო. მომეცით საშუალება, რომ მეც ვიზეიმო. ვიცი, რომ ის, ვინც მთელი სეზონის განმავლობაში მაკრიტიკებდა, ახლა მაქებს, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ისაა, რომ ჩვენ ყველა, ამ კრიტიკოსებთან ერთად, უკვე სერია A-ში ვართ".*

### პრეციოზი, თქვენ უფლება არ გაქვთ...

ზეიმობს გენუაც... უფრო სწორად, ზეიმობდა გამთენიამდე, ზეიმობდა კლუბის ოდიოზური პრეზიდენტი **ენრიკო პრეციოზიც**, ფეხბურთელებიც, მწვრთნელებიც... მაგრამ გუშინ, მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ განაცხადა, რომ ბატონი პრეციოზი დისკვალიფიცირებულია ფეხბურთიდან, 2003 და 2004 წლებში, "კომოს" (მაშინ ეს გუნდი სერია A-ში იყო) პრეზიდენტად ყოფნისას, სატრანსფერო და ფინანსურ მაქინაციებში მონაწილეობის გამო. ამას გარდა, დისციპლინართა განცხადებაში ნათქვამია ისიც, რომ "ჯენოა" დაჯარიმდა 150 ათასი ევროთი და არ არის გამორიცხული, საგანგებო განხილვის შემდეგ, 3 ქულაც ჩამოერთვას, რაც სერია A-ს საგზურს ეჭვის ქვეშ დააყენებს (ასეთ შემთხვევაში, "ჯენოას" მეოთხეადგილოსანთან ფლეი ოფში მოუწევს ურთიერთობის გარკვევა). პრეციოზის კი სამიდან ხუთ წლამდე დისკვალიფიკაცია ემუქრება...

სიმართლე გითხრათ, გაუგებარია, რატომ წამოწიეს სამი-ოთხი წლის წინანდელი ამბები მაინცდამაინც ახლა, როცა ყველამ იცოდა, რომ პრეციოზი "ჯენოას" პრეზიდენტი იყო. ან რა შუაშია თავად კლუბი? ვნახოთ... ალბათ, მალე ყველაფერი გაირკვევა. მანამდე კი შეგახსენებთ, რომ უძველესი იტალიური კლუბი სერია A-დან 12 წლის წინათ გავარდა. 2005 წელს ლიგურიელებმა სერია B-ს მარათონი მოიგეს, მაგრამ ბოლო ტურში თამაშის ჩაწყობა დაბრალდა და სერია C 1-ში უკრეს თავი. პირველსავე ცდაზე, "ჯენოა" ერთი საფეხურით ალზევდა, კვირას კი ზედიზედ მეორედ მოიპოვა მაღალ ლიგაში გამოსვლის უფლება. თუმცა ეს უფლება ახლაც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას...

### კონტე ყოფილ კლუბს ადანაშაულებს: იუვე სუფთა არ არის!

კვირას, "იუვენტუსს" "სპეცია" რომ დაემარცხებინა, "არეცო" სერია B-ში დარჩებოდა. თავად ამ უკანასკნელს კი "ტრევიზოსთან" მოგება მართებდა, რაც მოახერხა კიდეც (3:1, გასვლაზე), მაგრამ რად გინდა - ერთ-ერთმა აუტსაიდერმა "სპეციამ" ტურინში 3:2 მოიგო და გახდა პირველი გუნდი სერია B-ს ისტორიაში, რომელსაც სახელოვანი "იუვენტუსი" სტუმრად ჰყავს დამარცხებული. აი, ასეთი კონტრასტულია საფეხბურთო ცხოვრება: ერთი კლუბი ისტორიას ქმნის, მეორე კი, ამ ისტორიის გამო, სერია C-ში ვარდება...

საინტერესო კი ისაა, რომ "არეცოს" მწვრთნელი "იუვეს" ყოფილი ლეგენდა **ანტონიო კონტეა**, რაც მისთვის სიტუაციას კიდევ უფრო ტრაგიკულს ხდის: *"ეს უდიდესი იმედგაცრუება და ტკივილია. "იუვენტუსის" ფანების მიმართ დიდი პატივისცემა მაქვს, მაგრამ ასეთივე პატივისცემის გრძნობით ნამდვილად არ ვარ გამსჭვალული დღევანდელი გუნდისადმი. მართლა ძალიან საწყენია, როცა ამგვარ სიტუაციაში ემშვიდობები ლიგას. მაგრამ მეორე მხრივ, კარგი ისაა, რომ უკვე მივხვდი, რაშიც არის საქმე... პრინციპში, ეს ადრეც ვიცოდი. დღეს ჩვენთან ბევრს ლაპარაკობენ, რომ სპორტი განიწმინდა, კერძოდ, ფეხბურთშიც ყველაფერი სუფთადაა... მაგრამ არის კი ეს სისუფთავე?"...*

"არეცოს" უბედურება ისიცაა, რომ სეზონის წინ კლუბს 6 ქულა ჩამოაკლეს ტრანსფერებში არსებული დარღვევების გამო. და რომ არა ეს ქულები, ტოსკანური კლუბი სერია B-ში "იუვეს" დახმარების გარეშეც დარჩებოდა...

არგენტინა. კლაუსურა. XVIII ტური

# სან ლორენსო ექვსი წლის შემდეგ

კლაუსურის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე, "სან ლორენსომ" ჩემპიონობა გაინაღდა. მან ოთხი ქულით გაუსწრო მდევარ "ბოკა ხუნიორსს". აპერტურის ჩემპიონ "ესტუდიანტესს" კი ჯერჯერობით, მესამე ადგილი უჭირავს. ის ვერცხლის მედლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეუფლება, თუ ბოლო ტურში გაიმარჯვებს, "ბოკა ხუნიორსი" კი დამარცხდება. "სან ლორენსოს" ჩემპიონობა უკანასკნელად 2001 წელს ჰქონდა მოპოვებული. მაშინ მისი დამრიგებელი **მანუელ პელეგრინი** იყო. ამჟამად ჩილელი სპეციალისტი "ვილიარეალს" ავარჯიშებს. სანლორენსოელებს კი **რამონ დიასმა** გაამარჯვებინა.

**ველესი–ლანუსი 1:1**

გოლები: 1:0 ბალვორინი (16), 1:1 ფაბიანი (90).

**ნ.ჩიკაგო–რივერი 2:2**

გოლები: 1:0 იგუაინი (31), 2:0 ლუსენპოფი (66-საკ.კარში), 2:1 ფარიასი (79), 2:2 ფერარი (90-პენ).

გაძევება: კარანსა (90. ნ.ჩიკაგო)

**ხიმნასია (პ)–რასინგი 1:2**

გოლები: 0:1 სავა (25), 0:2 ბერხესო (79), 1:2 ალდერეტე (88).

**ბოკა ხუნ.–ბელგრანო 1:0**

გოლი: 1:0 მარიონი (10).

**ბანფილდი–კოლონი 0:1**

გოლი: 0:1 სენტურიონი (38).

**გოდოი–ნიუელსი 1:1**

გოლები: 0:1 კარდოსო (59), 1:1 პერესი (79).

გაძევება: აგირე (74. ნიუელსი)

**როსარიო–ხიმნასია 2:0**

გოლები: 1:0 კოშტა (18), 2:0 მარია (77).

**ინდეპენდ.–კილმესი 4:1**

გოლები: 1:0 მონტენეგრო (2-პენ), 2:0 სოსა (40), 3:0 უსტარი (43-პენ), 4:0 დენისი (49), 4:1 ლუნა (86).

გაძევება: მუსტო (65. კილმესი)

**სან ლორენსო–არსენალი 4:2**

გოლები: 1:0 ტულა (6), 2:0 ლავესი (17), 2:1 ობოლო (26), 2:2 ობოლო (30), 3:2 ფერნანდესი (46), 4:2 ფერნანდესი (50-პენ).

**ესტუდიანტ.–არხენტინოს ხუნ. 2:0**

გოლები: 1:0 ბენიტესი (14), 2:0 ანხელერი (90).

გაძევება: მუნერი (62. არხენტინოს ხუნიორსი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სან ლორენსო | 18 | 13 | 3 | 2 | 32-16 | 42 |
| 2.ბოკა ხუნ. | 18 | 11 | 5 | 2 | 38-20 | 38 |
| 3.ესტუდიანტ. | 18 | 10 | 6 | 2 | 27-16 | 36 |
| 4.რივერი | 18 | 8 | 6 | 4 | 23-14 | 30 |
| 5.არსენალი | 18 | 8 | 5 | 5 | 30-23 | 29 |
| 6.ლანუსი | 18 | 7 | 6 | 5 | 24-19 | 27 |
| 7.ველეს სარსფ. | 18 | 7 | 5 | 6 | 20-23 | 26 |
| 8.გოდოი | 18 | 7 | 4 | 7 | 22-18 | 25 |
| 9.არხ.ხუნ. | 18 | 6 | 7 | 5 | 21-17 | 25 |
| 10.კოლონი | 18 | 6 | 7 | 5 | 25-23 | 25 |
| 11.როსარიო | 18 | 7 | 3 | 8 | 16-18 | 24 |
| 12.ინდეპენდ. | 18 | 5 | 7 | 6 | 20-23 | 22 |
| 13.ნიუელსი | 18 | 6 | 4 | 8 | 21-28 | 22 |
| 14.რასინგი | 18 | 4 | 8 | 6 | 24-28 | 20 |
| 15.ბანფილდი | 18 | 5 | 4 | 9 | 22-27 | 19 |
| 16.ჩიკაგო | 18 | 4 | 6 | 8 | 17-28 | 18 |
| 17.ხიმნასი (ხ) | 18 | 4 | 5 | 9 | 10-19 | 17 |
| 18.ხიმნასია (პ) | 18 | 4 | 4 | 10 | 19-28 | 16 |
| 19.ბელგრანო | 18 | 3 | 6 | 9 | 21-27 | 15 |
| 20.კილმესი | 18 | 3 | 3 | 12 | 17-34 | 12 |



სან ლორენსოს მთავარი მწვრთნელი რამონ დიასი

რეალი. პრეზიდენტის შეცდომა

# კალდერონი ბექჰემს დარჩენას სთხოვს

## სამეფო კლუბს დევიდის კონტრაქტის გამოსყიდვა 9 მილიონი დაუჯდება

**დევიდ ბექჰემი** სეზონის დასკვნით ეტაპს ფანტასტიკურად ატარებს. თამაში ისე არ ჩაივლის, რომ ინგლისელმა ვარსკვლავმა საგოლე გადაცემა არ მიითვალოს. სამეფო კლუბის გულშემატკივრები და ხელმძღვანელები ძალიან წუხან, რომ ბექსი ლოს ანჯელესში წასასვლელად ემზადება. **რამონ კალდერონი** მიხვდა, რომ დევიდთან ცუდი დამოკიდებულებით სერიოზული შეცდომა დაუშვა. პრეზიდენტი ახლა ამ შეცდომის გამოსწორებას ცდილობს. მოარული ხმების თანახმად, სენიორ კალდერონი ინგლისელს მადრიდში დარჩენას თხოვს. ჯერჯერობით უცნობია, რას ფიქრობს თავად ბექსი. იმ შემთხვევაში, თუ ის შეთავაზებას დათანხმდება, სამეფო კლუბს "გალაქსისთან" გაფორმებული კონტრაქტის გამოსასყიდად 9 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს. ასევე უცნობია, დევიდი ხელფასის სახით რა თანხას მოითხოვს. გეცოდინებათ, ამერიკაში მას გამდიდრების სერიოზული პერსპექტივა აქვს. თავად განსაჯეთ, ბექჰემს ოკეანის გაღმა კვირაში თითქმის მილიონ დოლარს გადაუხდიან. ძნელი წარმოსადგენია, ესპანურმა გრანდმაც ამდენის გადახდა შეძლოს. როგორც ჩანს, ყველაფერი სენტიმენტებმა უნდა გადაწყვიტოს. ახლა გამოჩნდება, რამდენად ძვირფასია ბრიტანელი სუპერვარსკვლავისთვის მადრიდის "რეალი".



დევიდ ბექჰემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ფაბიო კაპელოსთან

# სანამ მალიორკას არ მოვუგებთ, ჩემპიონები არ ვართ

## დიდი წარმატებების მიუხედავად, იტალიელმა არ იცის, დარჩება თუ არა ბერნაბეუზე...

**"რეალს" საჩემპიონო ტიტულამდე ერთი ნაბიჯიღა აშორებს. ეჭვი არავის ეპარება, რომ სამეფო კლუბი "მალიორკას" დაამარცხებს და მომავალი კვირის ბოლოს გულშემატკივრებთან შესახვედრად "სიბელესზე" გავა. ჯერ კიდევ სამი თვის წინათ ინჩასების უდიდესი ნაწილი ფაბიო კაპელოს გადაყენებას ითხოვდა, მაგრამ ახლა ხალხი მიხვდა, რომ სწორედ იტალიელი სპეციალისტის დამსახურებაა ყველა ის წარმატება, რომელსაც მადრიდულმა გრანდმა ბოლო დროს მიაღწია. ვითარება მართლაც რადიკალურად შეიცვალა. ესპანური სოციოლოგიური სამსახურების მიერ ორგანიზებული უკლებლივ ყველა გამოკითხვა ცხადჰყოფს, რომ ქომაგები ფაბიო კაპელოს დარჩენას ითხოვენ. სხვათა შორის, ხუან რამონ კალდერონმა არაერთხელ განაცხადა, რომ მთავარი მწვრთნელის ბედი პრიმერა დივიზიონში ნაჩვენებ შედეგზე იქნება დამოკიდებული. თუ გუნდი ჩემპიონი გახდება, კაპელოს თანამდებობას შევინარჩუნებთო. "დიარიო ასის" ინტერვიუში ვკითხულობთ, რომ თავად სინიორ ფაბიო "მალიორკასთან" დარჩენილი შეხვედრის გარდა, არაფერზე ფიქრობს. ის წინააღმდეგია, რომ ამ ერთი კვირის განმავლობაში ხალხმა სიბელესის ფიესტაზე ილაპარაკოს. მისი თქმით, მანამ ტიტული ოფიციალურად არ იქნება განაღდებული, საზეიმო არავის არაფერი ექნება.**



ფაბიო კაპელო შეგირდებს სიფრთხილისაკენ მოუწოდებს

**- "სარაგოსასთან" მატჩის შემდეგ როგორ გეძინათ?**

- გამოგიტყდებით, თვალის მოხუჭვა ძალიან გამიჭირდა. სახლში მისვლის შემდეგ მისაღებ ოთახში სავარძელში ვიჯექი და ცივ წყალს ვსვამდი. მსურდა, ოდნავ მაინც მოვდუნებულიყავი. ვცდილობდი, აბსოლუტურად არაფერზე მეფიქრა. უაზროდ ვიჯექი და წყალს ვწრუპავდი.

**- საინტერესოა, ადრე თუ გქონიათ ასეთი მატჩი? გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ორი შეხვედრა ერთმანეთზე იყო გადაჯაჭვული...**

- არა, ასეთი ორთაბრძოლა პირველად ჩავატარე. წესით, მსგავსი რამ არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ეს რეალობა გახლდათ.

**- "სარაგოსასთან" მატჩის დასრულების შემდეგ პრესკონფერენციაზე ბავშვივით ბედნიერი გამოცხადდით. ასეთი კაპელო არავის უნახავს...**

- ბიჭების თამაშითა და გულშემატკივრების ერთგულებით ძალიან გახარებული გახლდით. ისინი ჩვენთან ერთად იბრძოდნენ. ახლა ერთი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს შედეგი უნდა მოვიმკათ. როცა გვიჭირდა, ინჩასები გვაწვებოდნენ და გვაიძულებდნენ, უფრო მეტი შემართებით შეგვეტია (იცინის). ნამდვილი გუნდი ემოციური ქომაგების გარეშე წარმოუდგენელია. მერწმუნეთ, თამაშს მხოლოდ ფეხბურთელები და მწვრთნელები არ იგებენ. გამარჯვებაში ტრიბუნებიდან მოსული მუხტი უდიდეს როლს თამაშობს. "სარაგოსას" ინჩადა უპირობო უმრავლესობაში იყო, მაგრამ ჩვენი ბიჭები მათ არაფერში ჩამოუვარდებოდნენ.

**- შაბათს განვითარებულ მოვლენებს როგორ შეაფასებთ?**

- კატალონიური დერბის გაანალიზება არ შემიძლია, რადგან მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი ვნახე. ჩვენს თამაშს რაც შეეხება, შეხვედრა ოდნავ აღელვებულებმა დავიწყეთ. ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, სანაკრებო პაუზამ ცუდი სამსახური გაგვიწია. ბიჭებს ორი კვირის განმავლობაში ერთად არ უვარჯიშიათ. ამის შედეგად ის დინამიკა დაიკარგა, რომლის წყალობითაც ზედიზედ რამდენიმე ორთაბრძოლა მოვიგეთ. მიუხედავად ყველაფრისა, პირველივე ტაიმში შეგვეძლო ანგარიშის გათანაბრება. ვან ნისტელროის თავური დარტყმა ოდნავ ასცდა მიზანს. მეორე ნახევარში კი სესარ სანჩესმა სასწაულმოქმედის უხილავი სამოსი მოისხა. მასპინძელთა მეკარემ არაერთი აუღებელი ბურთი მოიგერია. წინასწარ ბევრი ვერ წარმოიდგენდა, მაგრამ ფრე გამარჯვების ტოლფასი აღმოჩნდა. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი შეგირდები სირთულეებს არ დანებდნენ და ბოლო წამამდე იბრძოლეს. როგორც გახსოვთ, რუუდმა საფინალო სასტვენამდე მცირე ხნით ადრე გაათანაბრა.

**- ძირითად შემადგენლობაში ემერსონი და დიარა რატომ დააყენეთ? ხომ არ ფიქრობთ, რომ გუნდის შემტევი პოტენციალის ასამაღლებლად გუტის პირველივე წუთიდან გამოყვანა იყო საჭირო?**

- ემერსონმა და დიარამ კარგად იმუშავეს, თუმცა თამაშმა გამოააშკარავა, რომ მეორე ტაიმში "რეალს" უფრო შემტევი ნახევარმცველი სჭირდებოდა. ასეთი კი გუტი გახლავთ. ვფიქრობ, ტაქტიკური თვალსაზრისით შეცდომა არ დამიშვია.

**- და მაინც, უდავოა, რომ გუტისა და იგუაინის გამოყვანის შემდეგ სამეფო კლუბი გაცილებით უკეთ ათამაშდა. იქნებ პირველ ტაიმშიც ასე რომ გეთამაშათ, გოლი უფრო ადრე გაგეტანათ?**

- გეთანხმებით, გუტიმ და იგუაინმა შეხვედრა გამოაცოცხლეს, მაგრამ ნებისმიერი მატჩი მინიმუმ ორი ტაიმისგან შედგება. "სარაგოსამ" თავიდან დიდი ძალებით შემოგვიტია. ეს მოსალოდნელი იყო, ამიტომ ემერსონსა და დიარას მნიშვნელოვანი სამუშაო უნდა შეესრულებინათ. ხშირად ხდება, როცა მოთამაშე შეცვლაზე შედის და საკუთარ ადგილს ვერ პოულობს. საბედნიეროდ, ხოსე მარიასა და გონსალოს უმცირესი პრობლემებიც არ შექმნიათ.

**- რაული და რობინიო რატომ შეცვალეთ, მათი თამაშით უკმაყოფილო დარჩით?**

- რობინიომ სამჯერ დაარტყა კარში, ერთხელ სესარმა აჯობა, ორჯერ კი კარს ააცილა. გატანის შანსი რაულსაც ჰქონდა, მაგრამ ზოგჯერ ის მოწინააღმდეგეზეა დამოკიდებული. ძალიან ხშირად ფეხბურთი კრივს ჰგავს. თუ მეტოქემ ახლოს არ მიგიშვა, დარტყმას ვერ მიაყენებ.

**- ჩემი აზრით, რაულისთვის საუკეთესო ვარიანტი უკანდახეული ფორვარდის პოზიციაზე ასპარეზობაა...**

- სეზონის ამ მონაკვეთში ერთ ფეხბურთელსაც ვერ შეხვდებით, რომელიც გადაღლილობისგან არ იტანჯებოდეს. რაულს ძალიან გაუჭირდებოდა, უწინდებურად სისტემატურად ფლანგზე თამაშს რომ ვავალებდე.

**- სხვათა შორის, რაულს სულაც არ ახარებს ამპლუის ხშირი ცვლა. განა უკეთესი არ იქნება, ის მუდმივად მეორე ფორვარდის ფუნქციას ასრულებდეს?**

- ამ პოზიციაზე ხან ის თამაშობს, ხან იგუაინი. პიპიტას საკუთარი ღირსებები აქვს. ჩემი აზრით, ორივე მათგანი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ.

**- ძირითადი შემადგენლობის დაკომპლექტებისას, ან შეცვლების განხორციელების დროს ფეხბურთელების მაისურზე გვარს კითხულობთ, თუ მათ ავტორიტეტს არანაირ ყურადღებას არ აქცევთ?**

- ჩემთვის გვარები არ არსებობს. უკლებლივ ყველა მოთამაშე აბსოლუტურად თანასწორუფლებიანია. მწვრთნელმა არა მაისურებზე ამოტვიფრულ გვარებს, არამედ მოედანზე მიმდინარე მოვლენებს უნდა ადევნოს თვალი. ნებისმიერ დროს, გნებავთ ძირითადი შემადგენლობის დაკომპლექტებისას, ან შეცვლებისას მან ის შეგირდი უნდა გამოიყენოს, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევს.

**- ასეა თუ ისე, ფაბიო კაპელოს სამეფო კლუბმა ბოლო თვეებში დაუჯერებელი პროგრესი განიცადა. რა საიდუმლოს ფლობთ?**

- სეზონის დასაწყისში გუნდი ფიზიკურად ცუდად გამოიყურებოდა. შემდეგ ბევრი ვიმუშავეთ და მდგომარეობა საგრძნობლად გამოვასწორეთ. გარდა ამისა, იანვარში რამდენიმე ახალწვეული დაგვემატა. რაც მთავარია, გუნდმა საბრძოლო სულისკვეთება დაიბრუნა. ამის გარეშე არასოდეს არაფერი გამოვა. ზოგადად იმისთვის, რომ გაწეული შრომის ნაყოფი დაინახო, დროა საჭირო. ახლად დარგული ნერგი ნაყოფს იმავე დღეს ვერ გამოისხამს.

**- არცთუ დიდი ხნის წინათ გულშემატკივრები დაუფარავად გაკრიტიკებდნენ და თქვენს გადადგომას ითხოვდნენ. ახლა კი იგივე ხალხი კალდერონს თხოვს, რომ ფაბიო კაპელოს წასვლა არ დაუშვას. ინჩასების აზრით, წარმატებების მთავარი შემოქმედი სწორედ თქვენ ხართ...**

- არ დავმალავ, მსიამოვნებს და მახარებს, რომ ხალხმა დამაფასა. ისედაც ყველამ კარგად იცის, მაგრამ ვალდებული ვარ გავიმეორო, რომ ფეხბურთელების თავგანწირვის გარეშე ვერც ერთი მწვრთნელი მიაღწევს წარმატებას. ჩვენი ცხოვრება სახელმწიფოების პრეზიდენტების ცხოვრებას ჰგავს. თუ საზოგადოება, ხალხი ვერ აცნობიერებს საკუთარ მოვალეობებს და ცუდად მუშაობს, ერთი პრეზიდენტი ვერაფერს შეძლებს.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ შრომის გარდა, იღბალიც აუცილებელია. ვერ უარყოფთ, რომ "რეალს" ბოლო დროს წარმოუდგენლად უმართლებს...**

- ჩვენ საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი აღარ შეგვაქვს. ეს დრო წარსულში დარჩა. ბიჭებს ერთმანეთის სჯერათ. გუნდური სულისკვეთება კი სხვა არაფერია.

**- ხოან ლაპორტა სარაგოსელებს პრემიას შეპირდა. ამგვარ კომბინაციაზე რას ფიქრობთ?**

- ჩემი აზრით, სხვა გუნდის პრეზიდენტმა სხვა გუნდის ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს ფული არც მოგებისთვის და არც წაგებისთვის არ უნდა გადაუხადოს. ჩემს ირგვლივ ყველა ამბობს, რომ მსგავსი შეთავაზება არალეგალურია...

**- როგორ ფიქრობთ, პრიმერა დივიზიონის ბედი უკვე გარკვეულია? შეგიძლიათ, წინასწარ განაცხადოთ, რომ "რეალი" ესპანეთის ჩემპიონია?**

- ასეთი საუბრის გაგონებაც არ მსურს. ამ კვირაში ჩვეულებისამებრ ბევრი უნდა ვიმუშაოთ. ეიფორია და ყურადღების გაფანტვა დამღუპველია. ნუ დაგვავიწყდება, რომ ბოლო ტურის შეხვედრა ყოველთვის ყველაზე მეტ საფრთხეს შეიცავს. ფრთხილად უნდა ვიყოთ. ცოტაღა დაგვრჩა. არაგონული თავგადასავალი და "ბარსას" წარუმატებლობა უნდა დავივიწყოთ. ახლა ჩვენი ერთადერთი საზრუნავი და საფიქრალი "მალიორკასთან" მატჩია. ჯერ არ არის იმისი დრო, რომ სიბელესზე, ღამის ფიესტაზე ვიფიქროთ. დამიჯერეთ, ბალეარელებთან იოლი შეხვედრა არ გვექნება.

**- ეს როგორ გავიგოთ, ნუთუ არ დაგინახავთ, როგორ ხარობდა რამონ კალდერონი. პრეზიდენტი გულშემატკივრებში შეიჭრა და ისე დახტოდა, თითქოს ჩემპიონობა ოფიციალურად განაღდებულია...**

- არ ვიცი, არ მინახავს. მაგ დროს უკვე გასახდელში ვიყავი (იცინის).

**- კეთილი, მაგრამ გეფიცებით, არ გატყუებთ. კალდერონმა საჩემპიონო ყიჟინა დასცხო...**

- გასახდელში ვიყავი...

**- არ გეჩვენებათ, რომ პრეზიდენტის რეაქცია "მალიორკის" ფეხბურთელებისთვის შეურაცხმყოფელია? ისინი იფიქრებენ, რომ სამეფო კლუბის პრეზიდენტი მათ არაფრად აგდებს...**

- არ ვიცი, ვინ რას ფიქრობს და ვინ როგორ იქცევა. ფაქტი ერთია, აბა სად არის საჩემპიონო ტიტული? აბა, ვინმემ დამანახოს თასი, მსურს ხელით შევეხო... მოკლედ, წინ გადამწყვეტი თამაში გველის. სანამ "მალიორკას" არ მოვუგებთ, ჩემპიონები არ ვართ.

**- ესე იგი, სიბელესზე საუბარი ჯერ ნაადრევია?**

- რა თქმა უნდა. ჯერჯერობით სიბელესის გაგონებაც არ მსურს.

**- არადა, დარწმუნებული ვარ, კალდერონი მოგილოცავდათ.**

- ბუნებრივია, მომილოცა, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ "სარაგოსასთან" მიღწეული ფრე.

**- მაინც, რა გითხრათ?**

- კმაყოფილები ვიყავით, რომ ბოლო წუთზე წაგებას გადავურჩით და იმითაც ძალიან გავიხარეთ, რომ "ბარსელონამ" ვერ მოიგო.

**- ცნობილია, რომ კალდერონთან საკმაოდ მძიმე ურთიერთობა გქონდათ. საინტერესოა, ახლა როგორი დამოკიდებულება გაკავშირებთ?**

- ნორმალური.

**- ნორმალური, კარგი, თუ ბრწყინვალე?**

- უკვე გითხარით, ნორმალური-მეთქი. მთავარია, რომ ერთმანეთს პატივს ვცემთ.

**- როგორი რეაქცია გაქვთ, როცა ბერნდ შუსტერთან გაფორმებულ წინასწარ კონტრაქტზე საუბრობენ?**

- ამ თემაზე არ ვისაუბრებ. მე მადრიდის "რეალში" მუშაობას ვაგრძელებ.

**- შესაძლოა, თავი მოგაბეზრეთ, მაგრამ ყველამ ვიცით, თუ ჩემპიონი ვერ გახდებით, სამეფო კლუბიდან წასვლა მოგიწევთ...**

- ვგონებ, უკეთესია, ეს კითხვა პრეზიდენტს დაუსვათ. სამეფო კლუბმა თამაში და სატურნირო მდგომარეობა გამოასწორა. "რეალი" ახლა სულ სხვა გუნდია.

**- მაინც რა შეიცვალა?**

- ეს გუნდი რომელიღაც გალაქტიკოს ხასიათსა და ინდივიდუალიზმზე იყო დამოკიდებული. ახლა კი "რეალი" ძლიერი გუნდია.

**- კაპელო, როგორი წინათგრძნობა გაქვთ, "ბერნაბეუზე" გაისადაც იმუშავებთ?**

- არ ვიცი, ეს პრეზიდენტმა უნდა გადაწყვიტოს. ყოველთვის ვამბობდი, რომ კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე მუშაობა მსურს. სხვა საქმეა, რას ფიქრობს სენიორ კალდერონი.

**- სეზონის დასრულების შემდეგ რობერტო კარლოსი ერთ კვირაში დაგტოვებთ. როგორ გგონიათ, ვინ უნდა შეცვალოს ის?**

- რობერტო კარლოსზე უკეთესი მარცხენა მცველი უბრალოდ, არ არსებობს. ჩემი აზრით, მისი დონის ერთადერთი მოთამაშე აბიდალია, მაგრამ ვიმეორებ, ბრაზილიელზე უკეთესი არავინაა. ბუნებრივია, ამხელა ფეხბურთელის წასვლა პრობლემას შექმნის. სეზონის დასრულების შემდეგ დირექტორატის მაღალჩინოსნები სამეფო კლუბის საბანკო ანგარიშს გადახედავენ და მოქმედებას შეუდგებიან.

**- კარლოსს უსამართლოდ მოეპყრნენ?**

- მან თქვა, რომ "რეალში" ფაბიო კაპელოს თხოვნის გამო დარჩა. მას სისტემატურად ვათამაშებდი. არ მგონია, ჩემზე იყოს ნაწყენი. დანარჩენი კი რობერტო კარლოსისა და რამონ კალდერონის გასარკვევია. სხვის ცხოვრებაში ვერ ჩავერევი.

**- ჩვეულებისამებრ, ახალი სეზონისთვის ფეხბურთელებს როდის ყიდულობდით ხოლმე?**

- მაისის შუა რიცხვებში უკვე ყველა ნაყიდი მყავდა ხოლმე.

**- გამოდის, საკმაო დრო დაგიკარგავთ. უკვე ივნისის შუა რიცხვებია, მაგრამ ჯერ არავინ გადმოგიბირებიათ. დაიბრუნებთ დაკარგულ დროს?**

- ვნახოთ...

**- ბექჰემი რამდენიმე დღეში წავა. სხვათა შორის, ამბობენ, კალდერონი მის შენარჩუნებაზე სერიოზულად მუშაობსო...**

- დევიდის წასვლა ძალიან სამწუხარო ფაქტია. მან უდიდეს პრობლემებს გაუძლო, ფიზიკური კონდიცია აღიდგინა და ნაკრებში დაბრუნდა. ეროვნულ გუნდში ასპარეზობა ნებისმიერი ეროვნების მოთამაშისთვის საპატიო და საამაყოა, მაგრამ ინგლისელებისთვის ნაკრები გაცილებით უფრო სანატრელი, ძვირფასი და საყვარელია.

**- ბექჰემთან ურთიერთობისას შეცდომა დაუშვით?**

- მასთან მიმართებაში ყველა შევცდით. ბექჰემს ცუდად მოვეპყარით. ძირითად შემადგენლობაში არ ვათამაშებდი. შესაბამისად, პასუხისმგებლობაც მე მეკისრება, მაგრამ დირექტორატიც არ იყო მართალი.

**- ვან ნისტელროის როლს როგორ შეაფასებთ?**

- შევეცდები, მოკლედ მოგახსენოთ. რუუდ ვან ნისტელროი გენიალური ფეხბურთელია.

**- მისი შეძენის იდეა ვის ეკუთვნოდა?**

- პრედრაგ მიატოვიჩს. შემოგვთავაზა და ყველა დავეთანხმეთ. პედია ძალიან ბედნიერია, რომ მის მიერ ჩამოყვანილმა ფორვარდმა ამდენი გოლი გაიტანა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ქულები მოგვიტანა.

**- სასიამოვნოა, რომ მიატოვიჩის დამსახურებას გულწრფელად აღნიშნავთ...**

- რატომ გიკვირთ? დამსახურებას არასოდეს არავის ვუკარგავ.

**- ტამუდოს არ ემადლიერებით?**

- რა თქმა უნდა. უმადური არ ვარ. სულ მცირე მან დაიმსახურა, რომ რესტორანში გემრიელ სადილზე დავპატიჟოთ. რამდენიც უნდა იმდენი ჭამოს და დალიოს (იცინის).

**- მესის მიერ ხელით გატანილ გოლზე რას გვეტყვით?**

- მარადონას უკვე ორჯერ მიბაძა. ლეო წარმოუდგენლად ნიჭიერია. ის მსოფლიო ფეხბურთის მომავალი კაშკაშა ვარსკვლავია.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი. ტრანსფერები

# მიუნხენში კუნთები აათამაშეს

## ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული რეკორდმაისტერი

**"ბაიერნის" ხელმძღვანელებმა ჯიბეზე ხელი გაიკრეს. გაიკრეს და მერე როგორ! ლუკა ტონი (11 მილიონი), ფრანკ რიბერი (25), მარსელ იანსენი (10), ხოსე ერნესტო სოსა (6) - დიდი ხანია, რეკორდმაისტერს სატრანსფერო ბაზარზე ასე ძალიან აღარ უაქტიურია. ამ ფეხბურთელების ფონზე, ისეთი სახეები, როგორიცაა ჰამით ალთინთოფი (უფასოდ) და იან შლაუდრაფი (1.5 მილიონი), ფაქტობრივად არაფერია. და თუ ამ სიას მიროსლავ კლოზე (სავარაუდოდ 15 მილიონი) და ზე რობერტოც (უფასოდ) მიემატებიან, თამამად შეგვეძლება იმის თქმა, რომ მიუნხენურმა გიგანტმა სატრანსფერო ბაზარზე ისე დაიქუხა, როგორც არასდროს. ბავარიელთა გენერალური მენეჯერი ული ჰიონესი კმაყოფილებისგან ხელებს იფშვნეტს და კონკურენტებს მრისხანე შეტევას ჰპირდება, მაგრამ ვინ ვინ და ულიმ პირველ რიგში იცის ის, რომ ამ ყველაფრის შემდეგ ის და მისი გუნდი უმძიმესი ზეწოლის ქვეშ მოექცევიან. აკი ამბობს კიდეც, ნნეხი მძიმე იქნებაო.**




დიდი პრეზენტაცია მიუნხენში

ბავარიელებს ფულის ხარჯვა არ უყვარდათ. უფრო სწორად, არც ახლა უყვართ. უბრალოდ, გასული სეზონის გამო, იძულებულები გახდნენ, რომ რამე ელონათ, ეს "რამე" კი, პირველ რიგში ისეთი ფეხბურთელების ყიდვა იყო, რომლებიც მთელ ბუნდესლიგას შიშისგანააკანკალებდნენ. ჰიონესს ცუდად ენიშნა ის ფაქტი, რომ ერთი წლის წინათ "ვერდერმა" "ბაიერნზე" უკეთესი ფეხბურთელები შეიძინა და ამჯერად თვითონაც გვარიანად იმოქმედა. უფრო სწორად, შარშან შეძენილი ფეხბურთელები (**დიეგო, ალმეიდა, მერტეზაკერი, ვომე**) "ვერდერს" უფრო გამოადგა, ვიდრე "ბაიერნს" თავისი ახალწვეულები (**ვან ბომელი, პოდოლსკი, ვან ბუიტენი**). მაგრამ ზემოთჩამოთვლილთაგან ვერცერთი მოთამაშე სახელითა და შესაძლებლობებით ახლოსაც ვერ მივა ვერც **ტონისთან** და ვერც **რიბერისთან**. ეს ფეხბურთელები სულ სხვა კალიბრისა არიან, ექსტრაკლასის, პირველი კატეგორიისა. არცაა გასაკვირი, რადგან ყველამ ვიცით, რომ "ბაიერნს" სხვა გერმანულ გუნდებზე გაცილებით დიდი ფინანსური შესაძლებლობები აქვს. ჰოდა, როცა მოინდომეს, მიაღწიეს კიდეც სანადელს - ჩვენი გერმანელი კოლეგები უკვე საუბრობენ იმაზე, რომ შემადგენლობა, რომელიც რეკორდმაისტერს მომდევნო სეზონში ეყოლება, "ბაიერნის" ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული კადრები იქნება.

მოკლედ, 50 მილიონზე მეტი უკვე დახარჯულია და თუ საჭირო გახდა (საჭიროება ნამდვილად ითხოვს), "ბაიერნის" წლევანდელი დანახარჯი სატრანსფერო ბაზარზე 100 მილიონსაც უპრობლემოდ მიუკაკუნებს. მთავარი ისაა, რომ პრეზიდენტმა **ფრანც ბეკენბაუერმა** ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგესა** და ხსენებულ ჰიონესს, რომლებიც სატრანსფერო საქმეებს განაგებენ, ფულის დახარჯვის ნება დართო და ასე ვთქვათ, მწვანე აუნთო. ვერ ვიტყვით, რომ კაიზერი ზემოთ ხსენებულ დუეტს აქამდე ფულის ხარჯვას უკრძალავდა. მეტიც, ბეკენბაუერი პირველი კაცი იყო "ბაიერნის" შეფთა კაბინეტიდან, ვინც **მიხაელ ბალაკის** წასვლის შემდეგ მისი ღირსეული შემცვლელის შეძენა მოითხოვა და ხუან რომან რიკელმეს ყიდვაც ითხოვდა. ეს თვითონ ჰიონესსა და რუმენიგეს არ სურდათ ჯიბის შეთხელება, რადგან მიაჩნდათ, რომ რეკორდმაისტერი ფონს უსუპერვარსკვლავებოდაც გავიდოდა. ასე მიაჩნდათ, რადგან ბოლო წლებში "ბაიერნი" ბუნდესლიგის ბატონ-პატრონი იყო. მაგრამ წელს ყველაფერი შეიცვალა - მეოთხე ადგილი, მხოლოდ უეფას თასის საგზური და რა გასაკვირია, რომ ჰიონესმა და რუმენიგემ, პრეზიდენტისგან რბილად რომ ვთქვათ, საყვედური დაიმსახურეს. თან, ხმაც არ ჰქონდათ ამოსაღები, კაიზერს ველარ შეეწინააღმდეგებოდნენ, რადგან ამ სეზონში გუნდი პირწმინდად შერცხვა და ნათელი გახდა, რომ ულის და კალეს სატრანსფერო პოლიტიკამ შედეგი ვერ მოიტანა.

მაინც როგორი იყო "ბაიერნის", ანუ, ჰიონესისა და რუმენიგეს სატრანსფერო პოლიტიკა აქამდე? მიუნხენელები სხვა ქვეყნების ჩემპიონატებიდან მოთამაშეებს ძალიან იშვიათად ყიდულობდნენ. ჰიონესის უმთავრესი მიზანი კონკურენტების (ბუნდესლიგაში) დასუსტება იყო, თუმცა ასეთ პოლიტიკას მხოლოდ გერმანული კლუბების დასუსტების მიზანი არ ჰქონია. "ბაიერნი" იმას უცდიდა ხოლმე, თუ როგორ მოიკიდებდნენ ფეხს გერმანიაში ის მოთამაშეები, რომლებსაც გერმანული კლუბები იყიდიდნენ და თუკი ისინი იმედებს გაამართლებდნენ, "ბაიერნი" მათი შეძენით მხოლოდ ამის შემდეგლა ინტერესდებოდა. ანუ, ჰიონესი რისკზე წასვლას ერიდებოდა.

ახლა კი, მიუნხენელები, როგორც იქნა, ასე ვთქვათ, ბუნდესლიგისთვისაც ზრუნავენ და არა მხოლოდ თავისი თავისთვის. ამჯერად "ბაიერნი" ფულს იხდის არა მხოლოდ იმისათვის, რომ კონკურენტები დაასუსტოს, არამედ თვითონ მიდის რისკზე. მაგრამ თუკი შარშან ამ დროს, "ვერდერის" ბოსებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ, გაამართლებდა თუ არა **დიეგოს** ტრანსფერი, მაგრამ მასში 5 მილიონი მაინც გადაიხადეს, მიუნხენელები მზა პროდუქტს ყიდულობენ - ძალიან რთული წარმოსადგენია ის, რომ ტონიმ და რიბერიმ არ გაამართლონ. ასე რომ, ბავარიულმა გიგანტმა ყველა კოზირი გამოიყენა, კუნთეები აათამაშა და სანადელს იოლად მიაღწია: "შალკე", "შტუტგარტი" და "ვერდერი" ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ, "ბაიერნი" მხოლოდ უეფას თასზე, მაგრამ როგორ გგონიათ, ტონი ან რიბერი "შალკეში", "ვერდერში" ან მით უმეტეს "შტუტგარტში" გადავიდოდნენ? რა თქმა უნდა, არა! "ბაიერნი" კი მაინც "ბაიერნია" და სწორედ ეს არის მიუნხენელთა კოზირი.

ადრე ასეთ ნაბიჯებს მხოლოდ სხვა გერმანული კლუბები დგამდნენ - "ვერდერი" და დიეგო, "ჰამბურგი" და **ვან დერ ვაარტი**, "შალკე" და **ლინკოლნი**, უფრო ადრე "ლევერკუზენი" და ბრაზილიელები, "დორტმუნდი" და **ამოროზო**. ანუ, პირველად, რეკორდმაისერი ყიდულობს ფეხბურთელებს, რომლებიც პირველი კლასისანი არიან. შეიძლება აქ ვინმემ **ბიქსენ ლიზარაზუს, ვილი სანიოლის, როი მაკაის** ან **მარკ ვან ბომელის** მაგალითები გაიხსენოს, მაგრამ დააკვირდით, "ბაიერნში" გადასვლამდე არცერთ მათგანს არ ჰქონდა ისეთი სახელი, როგორიც დღეს ტონის და რიბერის აქვთ. რაც არ უნდა იყოს, ორივე მათგანი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის მონაწილეა.

2002 წელს მიუნხენურ კლუბში ლევერკუზენელი გმირები, ჩემპიონთა ლიგის ფინალის მონაწილენი, **მიხაელ ბალაკი და ზე რობერტო** გადავიდნენ. მათთან ერთად რეკორდმაისტერის მიაშურა **სებასტიან დაისლერმაც** და რუმენიგე მაშინ ყველა დროის საუკეთესო შემადგენლობაზე ლაპარაკობდა. მაგრამ იმ შემადგენლობამ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, 18 შესაძლო ქულიდან, მხოლოდ 2 მოიპოვა და პირწმინდად შერცხვა. ამ წლის დასაწყისში კი ჰიონესმა თქვა, რომ ზამთრის მოსამზადებელი პერიოდი ფეხბურთელებისთვის ყველაზე მძიმე და ინტენსიური გამოვიდა, რის გამოც ული მეორე წრეში შესაბამის შედეგს ელოდა, მაგრამ ამ სეზონის მეორე წრე "ბაიერნისთვის" ყველა დროის ყველაზე სუსტი და წარუმატებელი გამოდგა. და მაინც, "ბაიერნის" მიზანია, რომ მომდევნო სეზონში ყველა ტურნირზე ძველებურად დაიქუხოს, ზუსტად ისე, როგორც სატრანსფერო ბაზარზე დაიქუხა.

ასეთი კადრებით მიუნხენური კლუბი ბუნდესლიგაშიც ნომერი პირველი და უპირობო ფავორიტი იქნება, გერმანიის თასზეც და ცხადია, უეფას თასზეც. შესაბამისად, ჰიონესის ეს სიტყვებიც აღარაა გასაკვირი: *"ვიცით, რომ უმძიმესი ზეწოლის ქვეშ ვართ. ისიც ვიცით, რომ კარგი ფეხბურთელები წარმატების გარანტიას წარმოადგენენ!"* თითოეულმა მიუნხენელმა იცის, რომ ასეთი ტრანსფერების გაჩარხვის შემდეგ, ბუნდესლიგის ყველა კლუბი პირველი ტურიდან თავს მოიკლავს, ოღონდ "ბაიერნს" ქულები აართვას.

ახლა ბევრი რამ **ჰიტცფელდზეა** დამოკიდებული. ფაქტია, რომ 7-8 ახალი ფეხბურთელის ასეთ გუნდში ინტეგრირებას დრო დასჭირდება და სწორედ ჰიტცფელდმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ახალწვეულებს ადაპტაციის პერიოდი არ გაუგრძელდეთ. ესპანურ-იტალიურ-ფრანგულ კოლექტივში გასათვალისწინებელია ენის პრობლემაც და არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ თითოეული პოზიციისთვის ორ-ორი ფეხბურთელი იქნება მზად. ანუ, ჰიტცფელდი რთული ამოცანის წინაშე დგას.

ჰიონესი ამბობს, რომ აქტუალურ შემადგენლობას კიდევ 2-3 ფეხბურთელი დაემატება. **მიროსლავ კლოზე** და **ზე რობერტო** მიუნხენის გზაზე დგანან. ვინ იქნება მესამე? ჯერჯერობით ცნობილი მხოლოდ ისაა, თუ რა პოზიციის იქნება ეს მესამე - აუცილებლად ცენტრალური მცველი...

**გოტფრიდ ლენცი**

ეს საინტერესოა

### ბაიერნის ყველაზე ძვირადღირებული ტრანსფერები

| ფეხბურთელი | საიდან | როდის | ფასი (მლნ) |
|---|---|---|---|
| ფრანკ რიბერი | მარსელი | 2007 | 25 |
| როი მაკაი | დეპორტივო | 2003 | 19.75 |
| ლუსიო | ლევერკუზენი | 2004 | 12 |
| ლუკა ტონი | ფიორენტინა | 2007 | 11 |
| მარსელ იანსენი | ბორუსია (მ) | 2007 | 10 |
| დანიელ ვან ბუიტენი | ჰამბურგი | 2006 | 10 |
| ლუკას პოდოლსკი | კიოლნი | 2006 | 10 |
| ზე რობერტო | ლევერკუზენი | 2002 | 9.5 |
| სებასტიან დაისლერი | ჰერტა | 2002 | 9 |
| კლაუდიო პისარო | ვერდერი | 2001 | 8 |
| რობერტ კოვაჩი | ლევერკუზენი | 2001 | 7.5 |
| მიხაელ ბალაკი | ლევერკუზენი | 2002 | 6 |
| ხოსე ერნესტო სოსა | ესტუდიანტესი | 2007 | 6 |

### კოტბუსი ჩემპიონთა ლიგაში?

დიდი შანსია, რომ კოტბუსელმა გულშემატკივრებმა თავიანთ სტადიონ "ფროინდშაფტზე" ჩემპიონთა ლიგის თამაშები იხილონ. ამ არენის გამოყენებას პოლონეთის ჩემპიონი "ზაგლებიე" გეგმავს. მიზეზი ისაა, რომ ამ კლუბის სტადიონზე 1958 წლის შემდეგ არანაირი სამუშაოები არ ჩატარებულა. შესაბამისად, არენა უეფას სტანდარტებს არ შეესაბამება. "ზაგლებიეს" შეფებმა უკვე გამოთქვეს სურვილი, რომ ჩემპიონთა ლიგის საშინაო მატჩებში პოლონეთის საზღვართან ყველაზე ახლოს მდებარე ქალაქ კოტბუსში ჩაატარონ. "ზაგლებიეს" უეფამაც მწვანე აუნთო.

### ტორესს უეფას თასის საგზური სჭირდება

**ფერნანდო ტორესთან** დაკავშირებით ჭორების ახალი ტალღა აგორდა. მოგეხსენებათ, "ატლეტიკომ" ბოლო ტურების შეხვედრები კატასტროფულად ჩაატარა. ეს გარემოება სატურნირო მდგომარეობაზე პირდაპირპროპორციულად აისახა. მადრიდულ გუნდს უეფას თასის საგზურის გარეშე დარჩენის რეალური საფრთხე ემუქრება. არადა, ჯერ კიდევ ორი თვის წინათ "როხიბლანკო" ჩემპიონთა ლიგის საგზურის მაძიებლად მიიჩნეოდა.

ჭორების არსი აი, რაში მდგომარეობს: თუ "ატლეტიკო" ევროზონაში ვერ მოხვდება, ფერნანდო ტორესი "ვისენტე კალდერონს" დატოვებს და კარიერას რომელიმე გრანდში გააგრძელებს. აღნიშნული ინფორმაცია "დიარიო მარკამ" "ელ ნინიოს" ერთ-ერთ მეგობარზე დაყრდნობით გაავრცელა. ახალგაზრდა ფორვარდის ბავშვობის ძმაკაცმა დედაქალაქური გამოცემის კორესპონდენტს მოახსენა, რომ ეს ყველაფერი მას თავად ტორესმა უთხრა.

ბეტისი

# ფერნანდესი გუნდიდან გააგდეს

"ოსასუნასთან" საშინაო შეხვედრაში განცდილი კრახი (0:5) "ბეტისის" მთავარი მწვრთნელისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. წარუმატებლობებით თავმობეზრებულმა **მანუელ რუის დე ლოპერამ ლუის ფერნანდესი** კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე ერთი კვირით ადრე თანამდებობიდან დაითხოვა. ანდალუსიური კლუბის მფლობელმა ვერ მოითმინა, რომ "ბეტისი" პრიმერა დივიზიონიდან გავარდნის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. სანტანდერის "რასინგთან" ბოლო ტურის გადამწყვეტ შეხვედრაში სევილიელებს სათადარიგო გუნდის მთავარი მწვრთნელი, **პაკო ჩაპარო** უხელმძღვანელებს. რუის დე ლოპერას იმედი აქვს, რომ შეხვედრა მათთვის სასარგებლო შედეგით დასრულდება და "ბეტისი" უძლიერესთა ლიგაში ადგილს შეინარჩუნებს.

ვოლფსბურგი

# დი ნატალემ მგლები იუარა

## არცაა გასაკვირი: მას რომა ეპატიჟება

იტალიის ნაკრებისა და "უდინეზეს" თავდამსხმელმა **ანტონიო დი ნატალემ** "ვოლფსბურგში" გადასვლაზე უარი განაცხადა. ამ ფორვარდის შეძენა "მგლების" ახალი თავკაცის **ფელიქს მაგათის** იდეა გახლდათ და კლუბებს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, მაგრამ ფეხბურთელმა განაცხადა, რომ კარიერის "ვოლფსბურგში" გაგრძელება არ სურს. *"გერმანულ ფეხბურთს და ბუნდესლიგას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ "ვოლფსბურგში" გადასვლა ჩემთვის უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება. ეს გუნდი "უდინეზეს" არაფრით სჯობია, სულაც პირიქით!"* - განუცხადა დი ნატალემ "გაძეტა დელო სპორტს". არადა, რამდენიმე დღის წინათ გერმანულმა გაზეთმა "ვოლფსბურგერ ალგემაინემ" იტალიელის კომენტარი გაავრცელა, სადაც ეს უკანასკნელი ამბობდა, "ვოლფებში" გადასვლის წინააღმდეგი არ ვარო. იტალიელ ჟურნალისტებთან საუბარში დი ნატალემ ასეთი განმარტება გააკეთა: *"გერმანელ ჟურნალისტებს ვუთხარი, რომ ბუნდესლიგაში გადასვლას არ გამოვრიცხავ და იქვე დავამატე, ის, რომ "ვოლფსბურგი" ჩემით დაინტერესდა, დიდი პატივია-მეთქი."* "ვოლფსბურგი" "უდინეზეს" 6 მილიონ ევროს სთავაზობდა. გაირკვა, რომ დი ნატალეს "რომა", "პალერმო" და "პარმაც" უმიზნებს. შეგახსენებთ, რომ 29 წლის დი ნატალემ ამ სეზონში სერია A-ში 11 გოლი გაიტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა GEORGIA

## კალათბურთი


ზვიად ბაბიაშვილი


ირაკლი ხოშტარია

ლეგიონერი

# მარკოიშვილი ვერცხლით

საქართველოს ნაკრებისა და სლოვენიური "ოლიმპიას" კალათბურთელმა **მანუჩარ მარკოიშვილმა** ორმაგად უიღბლოდ დაასრულა სეზონი. ჯერ ერთი, რომ სლოვენიის ჩემპიონატის მიწურულს, ტრავმა მიიღო და ფინალური სერია გამოტოვა, ამას გარდა, "ოლიმპიაც" ვერ გაჩემპიონდა.

ფინალურ სერიაში მარკოიშვილის გუნდი ხვდებოდა "ჰელიოსს". ოთხი მატჩის შემდეგ, სერიაში ფრე იყო და ყველაფერი უნდა გადაეწყვიტა მეხუთე შეხვედრას.

"ოქროს მატჩი" ლიუბლიანელებმა სტუმრად, დომჟალეში ჩაატარეს, რაკილა რეგულარული ჩემპიონატი "ჰელიოსმა" მოიგო და საკუთარი მოედნის უპირატესობა დაიბევა. მასპინძლებმა ლიდერების - მარკოიშვილისა და **რანიკოს** გარეშე მოთამაშე სტუმრებს შანსი არ დაუტოვეს და 82:65 დაამარცხეს. შეხვედრის ბედი მესამე მეოთხედში გადაწყდა. მატჩის ეს მონაკვეთი "ჰელიოსმა" 19:10 მოიგო და ბოლო პერიოდს გვარიანი ფორით (68:47) შეხვდა. ბოლო ათი წუთი კი 18:18 დასრულდა. საფინალოს სირენის შემდეგ კი ტაბლოზე ეწერა 82:65, რაც იმას ნიშნავდა, რომ დომჟალელებმა არსებობის ისტორიაში პირველად მოიპოვეს ქვეყნის ჩემპიონობა.

ქართველ კალათბურთელს ახლა ისღა დარჩენია, ტრავმა დროულად მოიშუშოს და საქართველოს ნაკრებთან ერთად გაიხაროს.

**კობა ხატისაშვილი**

მეტოქეები

# ოქრო ისლანდიას, ვერცხლი ლუქსემბურგს

ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს ნაკრების ორმა მეტოქემ, ოფიციალური მატჩებისთვის მზადება ნაადრევად დაიწყო. ლუქსემბურგმა და ისლანდიამ მონაკოში გამართულ ჯუჯა ქვეყნების ჩემპიონატში წარმატებით ითამაშეს. ლუქსემბურგელებმა მეორე ადგილი დაიკავეს, ხოლო კუნძულელებმა - პირველი.

შეჯიბრებაში 6 გუნდი ჩაერთო და ტურნირი ხუთმა დაასრულა - კვიპროსის ნაკრები უდისციპლინობის გამო ორგანიზატორებმა მოკვეთეს.

ისლანდიელებმა ოთხი შეხვედრის მოგება შეძლეს: ჯერ ანდორა დაამარცხეს (94:65), შემდეგ ლუქსემბურგი (92:62), მონაკო (86:65), ხოლო ყველაზე ნაკლები სხვაობით სან მარინოს აჯობეს - 92:81.

კუნძულელთა რიგებში მეფარე **სტეფანსონი** და მექულე **ბირმინგემი** გამოირჩეოდნენ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათ მთავარი სტეფანსონი, ფრიდრიკი აკლდათ. იგი "რომას" რიგებში ბოისას "მონტეპასკის" ფინალის საგზურისთვის ებრძოდა.

ისლანდიელთა შემადგენლობას რომ გადავხედოთ, უნდა შევნიშნოთ, რომ იგივე მოთამაშეებითაა შედგენილი, რომლებიც წელს ფიბას თასზე **გიორგი ცინცაძის** "ტარტუ როკს" შეხვდნენ. იმის თქმა გვინდა, რომ მთელი ისლანდიის ნაკრები "ნორდავიკშია" თავმოყრილი, რაც იმას ნიშნავს, რომ კუნძულელებს შეთამაშებული ნაკრები ჰყავთ და მათი რეიკიავიკში დამარცხება დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ამაში შარშან ფინელებმაც დაგვარწმუნეს - მასპინძლებს ბოლო წამებზე აჯობეს.

ლუქსემბურგელებმა მონაკოში ერთადერთი მატჩი წააგეს. სან მარინოსთან პირველი შეხვედრისას გამოჩნდა, რომ ჯუჯების რიგებში სერიოზული ცვლილებები მოხდა. ნაკრებიდან უდისციპლინობის გამო **ელვინ ჯონსი** მოკვეთეს. რა დააშავა იმ მაღალმა ამერიკელმა, ამის შესახებ კონკრეტულად არაფერს იტყობინებიან, თუმცა ჩხუბისთავი რომ იყო, თბილისშიც დაამტკიცა.

ლუქსემბურგელებმა ელვინს მეორე ამერიკელი, **ლარი სმიტი** ჩაანაცვლეს. იგი ფორვარდია, ტენესის კოლეჯში გამოიწვრთნა და დაყენებული სროლა აქვს - სან მარინოსთან პირველივე მატჩში 41 ქულა ჩააგდო და ბურთი 11-ჯერ მოხსნა. ახალწვეულის დახმარებით ლუქსემბურგმა სან მარინოს 81:70 აჯობა, მომდევნო შეხვედრაში მომავალ ჩემპიონ ისლანდიასთან წააგო (62:92), რასაც ორი წარმატებული შეხვედრა მიაყოლა: ანდორა 88:60 დაამარცხა, ხოლო მონაკო - 74:69. ჯუჯა ქვეყნების ჩემპიონატის სნაიპერი უკვე ნახსენები **ლარი სმიტი** (195 სმ) გახდა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ნაკრები

# კარგია, რომ გაგვსინჯავენ. დანარჩენი იქ გამოჩნდება

საქართველოს ნაკრების მწვრთნელად **გორდონ ჰერბერტის** დანიშვნის შემდეგ წლეულს პირველად მოეწყობა წინასწარი შეკრება, რომელზეც ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშეებიდან ნაკრებისთვის საჭირო კალათბურთელები შეირჩევა. დათქმულია შეკრების დაწყების დღეც - 2 ივლისი. წვრთნას უშუალოდ გორდონ ჰერბერტი გაუძღვება...

სხვა მოთამაშეთა შორის ორი "ავიატორია" - **ირაკლი ხოშტარია** და **ზვიად ბაბიაშვილი**. მათ კარგი სეზონი ჰქონდათ და შეკრებაზე მიწვევა ნამდვილად დაიმსახურეს. ამისდა მიუხედავად, ორივემ თქვა, რომ - მიწვევას არ ელოდა.

*"ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბოლო ორი წელიწადია მსგავსი შეკრება არ მოწყობილა და არ მეგონა, წლეულს თუ დაიგეგმებოდა. მეორეც - ფინალური სერია სათანადო დონეზე ვერ ჩავატარე, ფორმაში არ ვიყავი. ასეა თუ ისე, მიმაჩნია, რომ საქართველოში მოთამაშეების სანაკრებოდ გასინჯვა სწორი გადაწყვეტილებაა"*, - გვითხრა "ავიამშენის" კაპიტანმა **ირაკლი ხოშტარიამ**.

მისი ნათქვამი **ზვიად ბაბიაშვილმა** შეავსო: *"ბოლო დროს, ნაკრები წინასწარი შეკრების გარეშე ვარჯიშობდა, რაც ჩემნაირ კალათბურთელებზე დადებითად არ მოქმედებდა. არ მაქვს ამბიცია, რომ სანაკრებო 12 კაცში აუცილებლად ჩემი გვარი უნდა ეწეროს. მაგრამ ძალიან გულდასაწყვეტია, როცა მთელი სეზონი წვალობ, რაღაცას აღწევ, ამ დროს კი ყურადღებას არავინ გაქცევს. ჩემი აზრით, თავის გამოჩენის შანსი ყველას უნდა მიეცეს. ეს საკუთარი შესაძლებლობების შეფასებისთვისაა აუცილებელი. მაგალითად, მეც მაინტერესებს, რას წარმოვადგენ. შეიძლება რაღაც შემიძლია, შეიძლება - არაფერი. სწორედ სანაკრებო შეკრებებისას უნდა დავინახო ჩემი შესაძლებლობები და თუ შევატყობ, რომ სხვებს ჩამოვრჩები, ქუდს დავიხურავ და გამოვბრუნდები. შანსი ყველას უნდა მიეცეს. ეს დამატებითი სტიმული იქნება".*

საინტერესოა, "ავიატორები" შეკრებისთვის როგორ ემზადებიან.

*"მაისში ოჯახური პრობლემების გამო ფორმიდან ამოვვარდი. ფინალურ მატჩებზე პირდაპირ სახლიდან, მოუმზადებელი მივედი. ამიტომ ცხადია, სასურველ კონდიციებში არც ახლა ვარ. მაგრამ ინდივიდუალურად ვვარჯიშობ და ვცდილობ, 2 ივლისს მომზადებული შევხვდე, რაც რთული იქნება. თუმცა, იმედი მაქვს, რომ ოპტიმალურ ფორმას თუნდაც 50-60 პროცენტით მაინც მივაღწევ,"* - ეს ირაკლი ხოშტარამ გვითხრა. ზვიად ბაბიაშვილი კი ერთი პრობლემის გამო ცდილობს, მეტ-ნაკლებად მუდმივად ფორმაში იყოს...

*"ერთი პრობლემა მაქვს - ჩემზე დასვენება ცუდად მოქმედებს, წონაში საგრძნობლად ვიმატებ. ამიტომ სეზონის დასრულების შემდეგ ორ დღეში ერთხელ ვვარჯიშობ. ნაკრებისთვის მზადება ერთი კვირის წინათ დავიწყე და ვფიქრობ, შეკრების დასაწყისს ფორმაში შევხვდები".*

ბაბიაშვილსა და ხოშტარიას სხვადასხვა დროს ეროვნულ ნაკრებში უკვე უთამაშიათ. ირაკლიმ 2001 და 2003 წლის ევროპის ჩემპიონატების საკვალიფიკაციო ტურნირებში მიიღო მონაწილეობა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერიც იყო. ხოლო ზვიად ბაბიაშვილს ნაკრებში ერთადერთი მატჩი აქვს ჩატარებული:

*"საქართველოს ნაკრების მაისურით ერთხელ ვითამაშე - აზერბაიჯანთან. კოჭი ამოვიბრუნე და იმ ციკლის ბოლომდე ტრავმის მოშუშება ვერ მოვახერხე. მას შემდეგ პირველ გუნდში მოხვედრის კიდევ ერთი შანსი მქონდა, მაგრამ დრაჟენ ბრაიკოვიჩის დროინდელ ნაკრებში მხოლოდ შეკრებაზე ვივარჯიშე. თავიდან მწვრთნელი აყვანას მპირდებოდა, მაგრამ ბოლოს მითხრა, ფორმაში არა ხარო".*

ნაკრების გაფართოებული სიის შედგენისას ზვიადისა და ირაკლის გვარების გასწვრივ მათი კლუბის სახელი, "ავიამშენი" ჩავწერეთ. თუმცა, საინტერესოა, აპირებენ თუ არა კარიერის ისევ რუსთავში გაგრძელებას.

*"როგორც ყოველ ივნისს, ახლაც ისეთ სიტუაციაში ვართ - ჯერ კლუბის საქმე უნდა გაირკვეს, შემდეგ დაგვიკავშირდნენ და... იმედი მაქვს, ივლისისთვის ყველაფერი გვეცოდინება"*, - ამბობს **ირაკლი ხოშტარია**.

ბაბიაშვილი უფრო კონკრეტულად საუბრობს: *"ავიამშენში თავს კარგად ვგრძნობ და ამ კლუბში გაისადაც სიამოვნებით ვითამაშებ. მართალია, როგორც ყველგან აქაც მცირე პრობლემებია, ზოგჯერ ხელფასებს აგვიანებენ, მაგრამ საერთო ჯამში, "ავია" ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური კლუბია. გუნდის შემადგენლობაზე კონკრეტული საუბარი აგვისტოდან შეგვეძლება. როგორც ყოველთვის, ალბათ, ახლაც ჩემპიონატის მონაწილე კლუბები სანაკრებო ბატალიების შემდეგ დაკომპლექტდება".*

ნაკრების 12 კაცში მოხვედრის შანსებზე ზვიადთან და ირაკლისთან ძალიან ცოტა ვილაპარაკეთ, ყველა ერთ აზრზე ვართ - ეროვნულში მოხვედრისვის რა პერსპექტივა აქვს, უშუალოდ შეკრებისას გამოჩნდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**


ისლანდიასთან სერიოზული ბრძოლა გველის

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრივი

# ჰეფი ენდი
### კუპატაძე პეკინური მედლისთვის ბრუნდება



მოქმედ ქართველ მოკრივეთაგან ყველაზე ტიტულოვანია **კონსტანტინე კუპატაძე**, ვისაც ევროპის ჩემპიონატებზე ორჯერ მოუპოვებია ბრინჯაოს მედალი. ათენის ოლიმპიადის შემდეგ, ამ სპორტსმენის თავზე, ერთი წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ სხვა რა არ გადახდენია. რატომღაც ისე მოხდა, რომ ეროვნული ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს პრობლემები შეექმნა და ორჯერ კინაღამ სამშობლოდან გადასახვეწად გაუხდა საქმე.

პირველად, იგი **კახა ჟვანიასთან, ლევან ღვამიჩავასა** და **ბექა ლობჟანიძესთან** ერთად აპირებდა საზღვარგარეთ გადაბარგებას. მაშინ, კრივის ფედერაციის ახლადდანიშნულმა პრეზიდენტმა **პეტრე ცისკარიშვილმა** და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაურმა** დაიყოლიეს დარჩენაზე.

მეორედ კი წლეულს, ეროვნულ ჩემპიონატზე ატკინეს გული, ნაკრებს რამდენიმე თვე აღარ ეკარებოდა და მისი საქართველოში დარჩენის საკითხი კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

საბედნიეროდ, გუშინ, დამაიმედებელი ინფორმაცია შევიტყვეთ. ფაქტობრივად, გადაწყვეტილ ამბად შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ კუპატაძე პეკინის ოლიმპიადისთვის გუნდთან ერთად მოემზადება. როგორც გუშინ კოტემ გვითხრა, აუცილებლად იბრძოლებს ჯერ ნაკრებში ადგილის მოპოვებისთვის, მერე პეკინის საგზურისთვის და თუკი ჩინეთამდე მიაღწევს, ყველაფერს გააკეთებს ოლიმპიური მედლის მოსაპოვებლად.

- ვიყავი კრივის ფედერაციაში. ველაპარაკე ფედერაციის გენერალურ მდივან ვლადიმერ ახალკაცს და ვუთხარი, რომ ნაკრებში ადგილის მოპოვებისთვის ბრძოლა მსურს. ახალკაცმა მიპასუხა, რომ ჩემთვის გუნდის კარი მუდამ ღიაა. სხვათა შორის, ამასწინათ, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ავთანდილ შოშიაშვილმაც მითხრა იგივე. თუმცა მაშინ გაურკვევლობაში ვიყავი, რადგან პირად პრობლემებს ვაგვარებდი და მთელი სამთვენახევარი ინდივიდუალურად ვემზადებოდი.

**- როდის შეუერთდები ნაკრებს?**

- გუნდი ახლა ბათუმში ვარჯიშობს. ამ შეკრებასაც გამოვტოვებ და მერე გუნდს დავუბრუნდები.

**- 1 ივლისს, ნაკრები მინსკში მიდის შეკრებაზე და იქვე საერთაშორისო ტურნირზეც იასპარეზებს. ესე იგი, ბელორუსში უკვე უნდა ველოდეთ შენს ხილვას?**

- ალბათ, ასე იქნება.

**- როგორც ვიცი, საქართველოდან წასვლას აპირებდი. რატომ გადაწყვიტე დაბრუნება?**

- ძველ გაუგებრობებზე საუბარი აღარ ღირს და მოდი, ამ თემას ნუ შევეხებით, რადგან ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. რაც შეეხება საზღვარგარეთ წასვლას, არ დაგიმალავთ, ნამდვილად მქონდა ასეთი ვარიანტი, ოღონდ პროფესიულ კრივში გადავდიოდი.

**- რომელ ქვეყანაში მიდიოდი?**

- ამერიკელები მთავაზობდნენ სამწლიან, საკმაოდ ხელსაყრელ კონტრაქტს. ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო ყველაფერი. მაისში ვბა-ს ვერსიით, პირველი სარეიტინგო ბრძოლაც უნდა ჩამეტარებინა, რომელსაც ESPN-2 აჩვენებდა. ჩემდა სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, საბუთებს რომ ვაკეთებდი, ამერიკის საკონსულოში რაღაც დამატებითი დოკუმენტები მომთხოვეს. უკვე ისე ვიყავი განამებული აქეთ-იქით სირბილით, რომ ეს ბოლო წვეთი აღმოჩნდა, კიდევ ერთხელ კარგად დავფიქრდი და ამერიკაში წასვლაზე უარი ვთქვი.

საქართველოს ნაკრებში საკუთარი პოტენციალი ჯერ არ ამომიწურავს და ძალიან მინდა, რომ სამოყვარულო კრივიდან ოლიმპიური მედლით წავიდე. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე დარჩენა. ამას გარდა, კრივის ფედერაციის ხელმძღვანელობაც ისე თბილად და საქმიანად მელაპარაკა, რომ საბოლოოდ დამარწმუნა ჩემს არჩევანში.

**- მაგრამ სანამ ოლიმპიური ლიცენზიისთვის იბრძოლებ, ჯერ ადგილი უნდა დაიბრუნო ნაკრებში...**

- წინასწარ ამაზე ლაპარაკი არ მინდა, მაგრამ რახან ნაკრებს ვუბრუნდები, ესე იგი, საკუთარ თავში დარწმუნებულიც ვარ. ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული და ვნახოთ...

**კობა ხატისაშვილი**

## ჩოგბურთი

# სახიფათო ივლისი

გუშინ ATP-ის ახალი რეიტინგ-ლისტი გამოქვეყნდა, რომელშიც კვლავ სამი ქართველი ჩოგბურთელია. ტრავმირებულ **ირაკლი ლაბაძეს** კვლავ დააკლდა ქულები და მან კვლავ უკან დაიხია მსოფლიო კლასიფიკაციაში. ირაკლი მსოფლიოს 216-ე ჩოგანია, რაც ორი კვირის წინანდელს 16 ადგილით ჩამორჩება. ლაბაძეს 180 ქულიდან 165 შარშანდელ უიმბლდონზე აქვს მოპოვებული, ასე რომ, თუ არაფერს შემატებს, ივლისის დასაწყისში შეიძლება ათასეულიდან გავარდეს. იძულებით უქმობს საქართველოს მეორე ჩოგანი **ლადო ჩიხლაძეც**, მას 58 ქულა აქვს და მსოფლიოს 477-ე ჩოგანია (-1). **ნოდარ ითონიშვილი** 2 ბალით მსოფლიო კლასიფიკაციაში 1332-ე (+16) ადგილზეა. წყვილთა თანრიგში ირაკლი ლაბაძე 208-ე ჩოგანია, ლადო ჩიხლაძე - 762-ე.

გამოქვეყნდა ქალ ჩოგბურთელთა (WTA) რეიტინგ-ლისტიც, სადაც ქართველთა შორის მატებაა, რეიტინგს დაუბრუნდა 20 წლის **თინათინ ყავლაშვილი**. "როლან გაროსის" ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში ერთი ეტაპის გავლა დადებითად აისახა **მაკა ჩახნაშვილის** რეიტინგზე, მან 215 ქულა მოაგროვა და მსოფლიოს 149-ე ჩოგანი (+3) გახდა. **ანა ტატიშვილს** 55 ბალი აქვს, მან საგრძნობლად დაიხია რეიტინგში უკან - 369-ე (-44). მაკა წლის რბოლაში 161-ე პოზიციაზეა, ანა ტატიშვილი კი - 202-ზე. სხვა ქართველები: 535 (-3) **სალომე დევიძე**, 628 (+27) **სოფიო შაფათავა**, 642 (+3) **სოფიო მელიქიშვილი**, 745 (+45) **მანანა შაფაქიძე**, 785 (-13) **ოქსანა კალაშნიკოვა**, 799 (-11) **ეკა გორგოძე**, 960 (+63) **სოფიო ქვაცაბაია**, 1084 (-) **თინათინ ყავლაშვილი**, 1288 (+13) **მარიამ ქურდაძე**, 1319 (+7) **თეონა ცერცვაძე**. სოფიო შაფათავა, სოფიო ქვაცაბაია და მარიამ ქურდაძე კარიერის საუკეთესო შედეგს აჩვენებენ. წყვილთა თანრიგში მაკა ჩახნაშვილი 191-ე პოზიციაზეა.

# მესამე ცდა

უკრაინაში წლის რიგით მესამე ფიუჩერსის ტურნირი მიმდინარეობს და კვლავ ქალაქ ჩერკასიში. ამჯერად საკვალიფიკაციო ტურნირში ორი ქართველი ჩაება, **გიორგი ჭანტურიასა** და **ნოდარ ითონიშვილს გიორგი ხრიკაძე** გამოაკლდა. ითონიშვილი საკვალიფიკაციო ბადეში მეოთხე ნომრად განთესეს. პირველ წრეში საქართველოს ჩემპიონმა ჭანტურიამ ყაზახ **ანტონ ციმბალოვთან** წააგო - 4:6, 5:7. ითონიშვილი ამ ეტაპზე ისვენებდა. მეორე წრეში მან უკრაინელ **კირილ სავოსკულს** მოუგო - 6:3, 6:2. ნოდარს ძირითად ბადეში გასვლის მესამე მცდელობა აქვს, ამისთვის საჭიროა მან უკრაინელ **იგორ ნიკიტინს** აჯობოს.

# პირველი წრე დაძლეულია

ამერიკის ქალაქ ალენთაუნის ტურნირის (25 ათასი დოლარი) საკვალიფიკაციო ბადეში პირველ წრის მატჩები მოიგეს **სალომე დევიძემ** და **სოფიო მელიქიშვილმა**. სალომე დევიძე პირველ ნომრად არის განთესილი, მან ჰოლანდიელ **ნიკოლ მონტეიროს** აჯობა - 3:6, 6:1, 6:2. მეშვიდე ნომრად განთესილმა **სოფიო მელიქიშვილმა** მალაიზიელ **შარინ ლაის** მოუგო - 6:4, 6:3. მეორე წრეში დევიძე ამერიკელ **კიმბერლი კოუტსს** შეხვდება, ხოლო მელიქიშვილი - ამერიკელ **ეიშა მუჰამედს**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ჭადრაკი

### მაია ჩიბურდანიძის თასი

# ყუფარაძე ლიდერობს

როგორც ყველა, ისე გუშინდელი, მეექვსე ტურიც საინტერესო ბრძოლებით გამოირჩა. ყველაზე დიდი სარგებელი **გიგა ყუფარაძემ** ნახა - შავებით **თორნიკე სანიკიძე** დაამარცხა და 5.5 ქულა გაუხდა. როგორც აღმოჩნდა, ეს პირველობისთვის საკმარისი ყოფილა, რადგანაც კონკურენტთა ბრძოლა ყაიმით დასრულდა. გიგას დაწევა **გიორგი ბალათუროვს** ან **ივერი ჭილლაძეს** შეეძლო, ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ პირველ დაფაზე, თუმცა მოგება ვერც ერთმა მოახერხა.

ამ ორის გარდა 5 ქულის დაგროვება სამ მოჭადრაკეს შეეძლო, თუმცა ეს მხოლოდ ერთმა მოახერხა - **გაიოზ ნიგალიძემ** თეთრებით **ანა გავაშელი** დაამარცხა; **მიხეილ კეკელიძემ** და **ინგა ჭარხალაშვილმა** კი ზავი დადეს.

თამაშის ეშხი უჩნდებათ რეიტინგ-ფავორიტებს - **ლევან ფანცულაიამაც** იმარჯვა და **დავით არუთინიანმაც**. ლევანმა თეთრებით **ბელა ხოტენაშვილი** დაამარცხა, არუთინიანმა კი შავებით **დავით ზარქუას** აჯობა. ტურნირის მესამე ფავორიტის, **კონსტანტინე შანავას** შედეგიანობაც გვსურდა გვეხილა, მაგრამ ის ტურზე არ გამოცხადდა, - ავადმყოფობის გამო ტურნირს გამოეთიშა. საჭადრაკო კანონებით მონაწილეს ერთხელ გამოუცხადებლობის გამო წაგება ეთვლება, ხოლო თუკი მეორედაც არ მოვა, გათამაშებებიდან მოხსნიან. ცხადია, ეს იმ შემთხვევაში თუკი ორგანიზატორებს და მთავარ მსაჯს არ გააფრთხილებს. შანავამ გუშინვე აცნობა მთავრ მსაჯს გადაწყვეტილება, რომ ბრძოლას აღარ გააგრძელებდა.

ერთ-ერთი ფავორიტის გამოკლება კარგი არ არის, მაგრამ ამჯერად პირველ როლებში სხვები არიან და ამით სულაც არ კნინდება ტურნირი.

გუშინ მოგახსენეთ, რომ ლიდერებში მრავლად იყვნენ ქალბატონები, საუკეთესო შედეგი კი ინგა ჭარხალაშვილს ჰქონდა - 4 ქულა, კიდევ ექვს - 3.5. ამ სექსტეტიდან ერთი ქალური დერბი იყო - **სოფიკო გურამიშვილი ნანა ძაგნიძეს** ხვდებოდა. ახალი თაობის ნიჭიერი მოჭადრაკის და უკვე გამოცდილი მებრძოლის დაპირისპირება იქნებ სხვებზე მეტ ყურადღებასაც იპყრობდა და, სხვათა შორის, ასეც იყო - ჭადრაკის გულშემატკივრები და სპეციალისტები ხშირ-ხშირად დახედავდნენ ხოლმე მეთხუთმეტე დაფას, რომელზეც ისხდნენ გურამიშვილი და ძაგნიძე. დაფა კი 37-ე ოთახში იდგა. საქმე ის გახლავთ, რომ პირველ ტურში სცენაზე პირველი 20 დაფა დადგეს, ორი ტურის შემდეგ კი რაოდენობა 12-მდე შეამცირეს, ამიტომ მოუწიათ მეორე სართულზე ბრძოლა გოგონებს.

შეხვედრა საამო საცქერი გამოვიდა. გურამიშვილმა საწყისი უპირატესობა შუა თამაშამდე შეინარჩუნა და უკეთესი პოზიციაც მიიღო, მაგრამ ერთ მომენტში შეცდა და ხარისხით ჩამორჩა. ამის მიუხედავად მეფის ფრთაზე გადაიტანა აქცენტი და პარტიის გადასარჩენად გზების ძიებას მიჰყო ხელი, - გამოუვიდა კიდეც: ფიგურა შეწირა და აქტიური თამაში მიიღო. მატჩის შემდეგ გურამიშვილის კომენტარს თუ დავეყრდნობით, ძაგნიძეს შეწირვა არ უნდა მიეღო, ან სხვა რედაქციით უნდა მიეღო. შეეძლო კიდევ ყაიმზეც ეთამაშა, მაგრამ არ გააკეთა, იმიტომ, რომ იფიქრა - რახან თეთრების მეფე მოშიშვლებული იყო, საშამათო ქსელში გაახვევდა. გადაწყვეტილება არასწორი აღმოჩნდა და 17 წლის გურამიშვილმა უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა. სოფოს 4 ქულა აქვს და დღეს არანაკლებ საინტერესო ბრძოლა გადახდება თავს - შავებით **მაია ლომინეიშვილს** ხვდება.

თავის მხრივ, ლომინეიშვილს შეეძლო გუშინ გამარჯვება **თამაზ მგელაძესთან**. ქალბატონი შავი ფერით იყო, მაგრამ მოახერხა ინიციატივის აღება, ენდშპილში კი არასწორად ითამაშა და ორი ზედმეტი პაიკის მიუხედავად, ვერ გაიმარჯვა.

ქალთა კიდევ ერთ დაპირისპირებასაც გამოვყოფთ, სადაც **სალომე მელია თამარ წერეთელს** ხვდებოდა. დიდი ბატალიების გადახდის მიუხედავად მოგება ვერც ერთმა შეძლო აღსანიშნავია **ნინო მელაშვილის** გამარჯვება, რომელმაც **მირანდა მიქაძე** შავებით დაამარცხა. ნინო აქტიურ ჭადრაკს კარგა ხანია ჩამოშორებულია და როცა ნიჭიერ გოგონას ამარცხებს, ქების ღირსი ნამდვილად არის. მელაშვილს 3.5 ქულა აქვს, რაც არცთუ ცუდი შედეგია.

აქტიურ ჭადრაკს ასევე ჩამოშორებული **ხვიჩა სუპატაშვილი** ვერ არის სათანადო ფორმაში. მასაც 3.5 ქულა აქვს, მაგრამ მისი კვალიფიკაციის მოჭადრაკისთვის ეს მაჩვენებელი აშკარად არ არის მიმზიდველი. იმედია, ხვიჩა დაუბრუნდება პრაქტიკას და სამწვრთნელო საქმიანობასთან კარგად შეაჯერებს.

მეშვიდე ტურში: ჭილლაძე (5)-ყუფარაძე (5.5); ნიგალიძე (5)-ბალათუროვი (5); ჯობავა (4.5)-ფანცულაია (4.5); არუთინიანი (4.5)-პაიჭაძე (4.5); სანიკიძე (4.5)-კეკელიძე (4.5); ჭარხალაშვილი (4.5)-გაფრინდაშვილი (4); ლომინეიშვილი (4)-გურამიშვილი (4); ლორთქიფანიძე (4)-მელია (4); წერეთელი (4)-აზალაძე (4); მალალაშვილი (3.5)-მგელაძე (4); სუპატაშვილი (3.5)-ნიკოლაძე (3.5); ხოტენაშვილი (3.5)-სულაშვილი (3.5); მორჩიაშვილი (3.5)-ბენიძე (3.5); გავაშელი (3.5)-დავით ზარქუა (3.5); ფურცელაძე (3.5)-მინასიანი (3.5); ვახანია (3.5)-ილლარ ბაჯარანი (3.5); მელაშვილი (3.5)-ბაციაშვილი (3.5); გელაზონია (3.5)-ჩხაიძე (3.5); ბრეგაძე (3.5)-ნიკოლაშვილი (3.5); აროშიძე (3)-დავარაშვილი (3).

## ფარიკაობა

### კადეტთა ჩემპიონატი

# ჯერი ახალგაზრდებზეა

საქართველოს ფარიკაობის ფედერაციამ კადეტთა ჩემპიონატი დაასრულა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ტყიბულისა და აჭარის ასამდე მოფარიკავე. რაკიღა კადეტებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების საშუალება ვერ გამოიძებნა, ფარიკაობის ფედერაცია იძულებული იყო, რომ შეჯიბრება საკუთარი ხარჯით ჩაეტარებინა. თუმცა სიტყვა "ხარჯი" ცოტა გადამეტებულია, რადგან ჩემპიონატის მომსახურე პერსონალის ყველა წევრი გასამრჯელოს გარეშე მუშაობდა. 15-18 ივნისს კი თბილისი მორიგ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. აღნიშნული შეჯიბრება საქართველოს ფარიკაობის ფედერაციამ ორი წლის წინათ დააარსა, ოღონდ თუკი აქამდე მაისში ატარებდა, ახლა ივნისში გადმოწია. ტურნირი ჩატარდება დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში. ამჯერად, გვესტუმრებიან ირანელი, თურქი, სომეხი და აზერბაიჯანელი მოფარიკავეები.

**კობა ხატისაშვილი**

| რაპირა (ვაჟები) |
| --- |
| 1. სანდრო სიხარულიძე (თბილისი) |
| 2. ბექა ბენიძე (ქუთაისი) |
| 3. თენგიზ ჯაგაშვილი (რუსთავი) |
| 3. გიგა ქუსიკაშვილი (რუსთავი) |
| **რაპირა (გოგონები)** |
| 1. ნინო გელაშვილი (ბათუმი) |
| 2. ხატია უგულავა (თბილისი) |
| 3. მერი გოქაძე (ქუთაისი) |
| 3. მარი ომიაძე (ბათუმი) |
| **ხმალი (ვაჟები)** |
| 1. გიორგი გორგიძე (ქუთაისი) |
| 2. სანდრო ბაზაძე (ქუთაისი) |
| 3. იური ნებიერიძე (ქუთაისი) |
| 3. მევლუდ პაქსაძე (ბათუმი) |
| **ხმალი (გოგონები)** |
| 1. თეოდორა კახიანი (თბილისი) |
| 2. ქეთევან გოგიაშვილი (თბილისი) |
| 3. თათია აფციაური (თბილისი) |
| 3. მარი გოქაძე (ქუთაისი) |
| **დაშნა (ვაჟები)** |
| 1. გიორგი ქაფიანიძე (რუსთავი) |
| 2. ირაკლი ქურთანიძე (თბილისი) |
| 3. ზვიად სისაური (თბილისი) |
| 3. გიორგი გიორგაშვილი (რუსთავი) |
| **დაშნა (გოგონები)** |
| 1. ქეთევან ქაფიანიძე (რუსთავი) |
| 2. ელენე ბაქრაძე (თბილისი) |
| 3. ხატია ლელაძე (ქუთაისი) |
| 3. ფერიდე ჩაჩხიანი (ქუთაისი) |

საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაცია ღრმა სამძიმარს უცხადებს ამავე ფედერაციის პრეზიდენტს, გიორგი გოგუაძეს მამის

**ვახტანგ გოგუაძის**

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონის დავით ციმაკურიძის შვილი

**მიშიკო ციმაკურიძე**

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 12, 13 ივნისს, 16 სთ. გამოსვენება 14.06. 15 სთ. მისამართი: თბილისი, უზნაძის 4.

# ჩოგბურთი

## როლან გაროსის შემდეგ

# ფედერერი იხტიბარს არ იტეხს

*"ვიცი, დარწმუნებული ვარ, რომ საფრანგეთის ღიას მოგება შემიძლია. თუ ვინმეს რაფას დამარცხება შეუძლია, პირველ რიგში, ეს მე ვარ. ჰოდა, ბრძოლას გავაგრძელებ. ეს მიზანი ჩემთვის მოტივაციის დამატებითი სტიმული იქნება"*, - განაცხადა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **როჯერ ფედერერმა** მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ღიას ფინალში ესპანელ **რაფაელ ნადალთან** დამარცხდა.

ჩოგბურთის შვეიცარიელ მაესტროს კვირას რომ საფრანგეთის ღია პირველობა მოეგო, მაშინ თავის ხელში დიდი სლემის ყველა ტურნირის ტიტულს მოუყრიდა თავს. მაგრამ ისევე, როგორც შარშან, ამჯერადაც მიზნის მიღწევაში ხელი თიხნარის კორტების ესპანელმა მეფემ შეუშალა, ვინც ტურნირი ზედიზედ მესამედ მოიგო.

ცნობისთვის, აქამდე ჩოგბურთის ისტორიას მხოლოდ ორი ვაჟი ჩოგბურთელი ახსოვს, რომლებსაც დიდი სლემის ოთხივე ტურნირი აქვთ მოგებული. ესენი არიან ამერიკელი **დონ ბაჯი** (1938 წელს) და ავსტრალიელი **როდ ლეივერი** (1962 და 1969 წლებში).

*"მე რომ ნადალი დამემარცხებინა, კარიერაში ბევრი მიზანი აღარ დამრჩებოდა და შესაძლოა, ამას ჩემს მომავალ გამოსვლებზე უარყოფითად ემოქმედა. ჯერჯერობით, საფრანგეთის ღიაზე გამარჯვება ყველაზე დიდი მიუღწეველი მიზანია ჩემს კარიერაში"*, - ამბობს ჩოგბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოთამაშე, ვისაც თიხის გარდა, ნებისმიერ სხვა საფარზე ბადალი არ მოეპოვება, თიხაზე კი მეორე ჩოგანია ნადალის შემდეგ.

*"რაფა მაგარი ბიჭია. მისი დამარცხება ნებისმიერ კორტზე ძნელია, თიხაზე კი - თითქმის შეუძლებელი. ვიცოდი, რომ ფინალში გარკვეული შანსები მექნებოდა. მე ისინი თავად მოვიმზადე, მაგრამ გამოყენება ველარ შევძელი, რაშიც პირველ რიგში, თავადვე ვარ დამნაშავე. რაფა კი იდეალურად თამაშობდა - თითქმის არ ცდებოდა, მოწოდებაც კარგი ჰქონდა და ხაზზეც კარგად ირჯებოდა. მე კი, მგონი ამდენი შეცდომა ამ სეზონში არ დამიშვია"*, - დასძენს ფედერერი.

ნუ შიშობთ, ეს წაგება არ მომკლავს, ყველაფერი რიგზეაო - დააწყნარა მან პრესკონფერენციის დამსწრე საზოგადოება და დასძინა, რომ საფრანგეთში დამარცხებით გამოწვეული წუხილის დაცხრობას უიმბლდონზე კიდევ ერთხელ, ზედიზედ მეხუთედ გამარჯვებით ეცდება.

საფრანგეთის ღიას გვირგვინისკენ ფედერერის წინსვლა ბოლო სამ სეზონში ნადალმა შეაჩერა. ესპანელმა ის ორჯერ ფინალში დაამარცხა, ერთხელ კი - ნახევარფინალში. სამაგიეროდ, შვეიცარიელს უიმბლდონი ზედიზედ ოთხჯერ აქვს მოგებული და თუ წლეულსაც მოიგებს, ამით ლეგენდარული შვედი **ბიორნ ბორგის** მიღწევას გაიმეორებს.

შეგახსენებთ, რომ დიდი სლემის ბოლო 15 ტურნირიდან ფედერერს ათი აქვს მოგებული. აქედან ოთხი უიმბლდონზე, სამ-სამი კი - ავსტრალიისა და აშშ-ის ღიაზე. ის ერთადერთი გრანდი არაა, ვისაც ვერაფრით მოუგია საფრანგეთის ღია. ამერიკელებმა **პიტ სამპრასმა** და **ჯიმი კონორსმა**, გერმანელმა **ბორის ბეკერმა** და შვედმა **სტეფან ედბერგმა** თავიანთი კარიერა ისე დაამთავრეს, რომ როლან გაროსის კორტებზე ერთხელაც ვერ ასწიეს გამარჯვებულის თასი.



ფედერერმა კვლავ დალონებულმა დატოვა პარიზი

ახლა ფედერერი 25 წლისაა და ყველაფერი ჯერაც წინ აქვს. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ნადალი მასზე ოთხი წლით უმცროსია და კარიერის ბოლომდე გაუწევს ხისტ კონკურენციას. სხვათა შორის, ფედერერს დიდი სლემის ზედიზედ სამი ტურნირი ორჯერ აქვს მოგებული და ორივე შემთხვევაში, მას დიდი სლემის შესრულება ერთ სეზონში შეეძლო, თუ საფრანგეთშიც გაიმარჯვებდა.

დიდი სლემის ოთხივე ტურნირის მოგებით, ფედერერი ბაჯსა და ლეივერს ვერ შეედრება. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ, როცა ამათ ოთხივე ტურნირი მოიგეს, მაშინ საფრანგეთის ღიას გარდა, ყველა დანარჩენი ტურნირი ბალახზე ტარდებოდა. სამაგიეროდ, ფედერერმა ორჯერ სეზონში სამ-სამი სლემ-ტურნირი რომ მოიპოვა, ისინი ორ განსხვავებულ საფარზე (ბალახი და ჰარდი) ტარდებოდა.

ფედერერს გრანდთა რიცხს, პირველ რიგში, ნადალი მიაკუთვნებს, ვინც მასთან შარშან, უიმბლდონის ფინალში წააგო: *"რაც ფედერერმა უკვე შეძლო, ის ჩოგბურთის ისტორიაში სხვა არავის გაუკეთებია. გაიხსენეთ, როცა სამპრასი მსოფლიოს პირველი ჩოგანი იყო, რეიტინგში მის გრაფაში 5 500 ქულა ეწერა. ფედერერს კი ახლა 8 000 ქულაზე მეტი აქვს. ჰოდა, რაღა დავამატო, მარტო ეს რიცხვებიც ბევრ რამეზე მეტყველებს"*!

**მერაბ ლორთქიფანიძე**

# TV სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 12 ივნისი. სამშაბათი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკრებები. ჩეხეთი-ინგლისი. ჰოლანდია.
**14:10** ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკრებები. სერბეთი-იტალია. ჰოლანდია.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:15** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**17:15** ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. მილანი-აიაქსი.
**19:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**19:20** ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**19:30** საფრანგეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
**21:30** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:15** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**22:30** ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. რეალი-მარსელი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

**07:10** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფიგუერენსე-ფლამენგო.
**08:55** სპორტის ისტორია.
**09:00** სპორტკლუბი.
**09:45** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პალმეირასი-ბოტაფოგო.
**11:30** სპორტდოსიე. პლაჟის ფრენბურთი.
**12:00** ცურვა. Fina Mare Nostrum. საფრანგეთი.
**13:50** ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. კოლორადო-დინამო (ჰიუსტონი).
**15:35** სპორტკლუბი.
**16:20** ექსტრემალური სპორტი. მსოფლიო თასი. ავსტრალია.
**16:45** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ესპანიოლი.
**18:30** ფეხბურთი. Barca TV. რონალდინიო.
**19:20** სპორტის ისტორია.
**19:30** სპორტინფორმი.
**19:40** ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი.
**21:30** სპორტინფორმი.
**21:40** ცურვა. Fina Mare Nostrum. საფრანგეთი.
**23:30** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-რეალი.
**01:25** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პალმეირასი-ბოტაფოგო.
**03:10** ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. კოლორადო-დინამო (ჰიუსტონი).
**04:55** ექსტრემალური სპორტი. მსოფლიო თასი. ავსტრალია.
**05:21** ცურვა. Fina Mare Nostrum. საფრანგეთი.

#### EUROSPORT

**10:30** მულტისპორტი.
**11:00** ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. პორტლენდი. აშშ.
**12:00** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
**12:30** ფეხბურთი. სონი ანდერსონის იუბილესადმი მიძღვნილი ამხანაგური მატჩი. ლიონი. საფრანგეთი.
**14:00** ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. ჩინეთი-პოლონეთი. ჩინეთი.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**17:15** ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. "კრიტერიუმ დოფინე ლიბერე". II ეტაპი. საფრანგეთი (LIVE).
**18:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**22:30** პროფესიული კრივი. გერმანია.
**23:00** პროფესიული კრივი. სლოვენია (LIVE).
**01:00** სპიდვეი. შვედეთის გრან-პრი.
**02:00** ფეხბურთი. სონი ანდერსონის იუბილესადმი მიძღვნილი ამხანაგური მატჩი. ლიონი. საფრანგეთი.
**03:00** მულტისპორტი.

#### EUROSPORT-2

**08:30** ახალი ამბები.
**12:00** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ფლეი ოფი. 1/2 ფინალი. IV მატჩი.
**13:00** რაგბი.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** ფეხბურთი. სონი ანდერსონის იუბილესადმი მიძღვნილი ამხანაგური მატჩი. ლიონი. საფრანგეთი.
**17:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**18:30** ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). რეგულარული ჩემპიონატი. არიზონა-ლოს ანჯელესი.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
**21:00** სერფინგი.
**21:30** მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
**22:00** ახალი ამბები.
**22:30** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კატალონიის გრან პრი. ბარსელონა.
**00:00** ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). რეგულარული ჩემპიონატი. არიზონა-ლოს ანჯელესი.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** პრო-რესტლინგი.
**02:15** ახალი ამბები.

## მოტორბოლა

### მსოფლიო ჩემპიონატი

#### კატალონიის გრან-პრი. VII ეტაპი

125 კუბ.სმ (22 წრე - 103.994 კმ)

1. კოიამა (იაპონია, KTM) - 41:06.339; 2. ტალმაში (უნგრეთი, "აპრილია") - +0.049; 3. კოუმენახერი (შვეიცარია, KTM) - +0.131; 4. გადეა (ესპანეთი, "აპრილია") - +0.500; 5. ესპარაგო (ესპანეთი, "აპრილია") - +2.081.

**საერთო ჩათვლა:** 1. ტალმაში - 115 ქულა; 2. ფაუბელი (ესპანეთი, "აპრილია") - 102; 3. პეშეკი (ჩეხეთი, "დერბი") - 94; 4. კორსი (იტალია, "აპრილია") - 80; 5. გადეა - 79.

250 კუბ.სმ (23 წრე - 108.721 კმ)

1. ლორენსო (ესპანეთი, "აპრილია") - 40:51.620; 2. დე ანჯელისი (სან მარინო, "აპრილია") - +3.194; 3. დოვიციოზო (იტალია, "ჰონდა") - +10.596; 4. ლიუტი (შვეიცრია, "აპრილია") - +17.100; 5. ბაუტისტა (ესპანეთი, "აპრილია") - +20.298.

**საერთო ჩათვლა:** 1. ლორენსო - 153 ქულა; 2. დოვიციოზო - 117; 3. დე ანჯელისი - 115; 4. ბაუტისტა - 100; 5. ბარბერა (ესპანეთი, "აპრილია") - 71.

მოტოგრანპრი (25 წრე - 118.175 კმ)

1. სტოუნერი (ავსტრალია, "დუკატი") - 43:16.907; 2. როსი (იტალია, "იამაჰა") - +0.069; 3. პედროსა (ესპანეთი, "ჰონდა") - +0.390; 4. ჰოპკინსი (ბრიტანეთი, "სუძუკი") - +7.814; 5. დე პიუნიე (საფრანგეთი, "კავასაკი") - +17.853.

**საერთო ჩათვლა:** 1. სტოუნერი - 140 ქულა; 2. როსი - 126; 3. პედროსა - 98; 4. მელანდრი (იტალია, "ჰონდა") - 75; 5. ვერმიულენი (ავსტრალია, "სუძუკი") - 72.

## რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 7515 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 5225 |
| 3(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 3040 |
| 4(6). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 3010 |
| 5(3). ენდი როდიკი (აშშ) | 2930 |
| 6(5). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 2780 |
| 7(9). ტომი რობრედო (ესპ) | 2200 |
| 8(8). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2110 |
| 9(11). ენდი მარეი (ბრიტ) | 2085 |
| 10(10). ტომი ჰაასი (გერ) | 2020 |
| 11(13). რიშარ გასკე (საფ) | 1900 |
| 12(7). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 1885 |
| 13(12). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 1875 |
| 14(15). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1800 |
| 15(14). დავიდ ფერერი (ესპ) | 1725 |
| 16(16). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) | 1540 |
| 17(22). გილერმო კანიასი (არგ) | 1522 |
| 18(17). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 1490 |
| 19(20). ხუან კარლოს ფერერო (ესპ) | 1355 |
| 20(21). ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 1305 |

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). ჟუსტინ ანენ-არდენი (ბელ) | 4419 |
| 2(2). მარია შარაპოვა (რუს) | 3807 |
| 3(5). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3115 |
| 4(4). ამელი მორესმო (საფ) | 2795 |
| 5(3). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 2790 |
| 6(7). ანა ივანოვიჩი (სერ) | 2544 |
| 7(8). სერენა უილიამსი (აშშ) | 2130 |
| 8(9). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 2078 |
| 9(6). მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 1817 |
| 10(12). ნადია პეტროვა (რუს) | 1772 |
| 11(14). ელენა დემენტიევა (რუს) | 1768 |
| 12(11). დინარა საფინა (რუს) | 1764 |
| 13(13). დან. ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 1763 |
| 14(10). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1749 |
| 15(15). პატი შნიდერი (შვეიც) | 1569 |
| 16(17). შაარ პეერი (ისრ) | 1432 |
| 17(16). ტატიანა გოლოვინი (საფ) | 1388 |
| 18(18). ნა ლი (ჩინ) | 1314 |
| 19(19). ვერა ზვონარევა (რუს) | 1234 |
| 20(21). მარიონ ბარტოლი (საფ) | 1083 |

| ATP-ის საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1(1). რაფაელ ნადალი (ესპ) | 735 |
| 2(2). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 601 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 467 |
| 4(9). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 295 |
| 5(4). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 267 |
| 6(5). ენდი როდიკი (აშშ) | 234 |
| 7(6). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 229 |
| 8(13). ტომი რობრედო (ესპ) | 226 |
| 9(14). გილერმო კანიასი (არგ) | 223 |
| 10(12). მიხაილ იუჟნი (რუს) | 219 |
| 11(6). ენდი მარეი (ბრიტ) | 214 |
| 12(10). დავიდ ფერერი (ესპ) | 213 |
| 13(8). ტომი ჰაასი (გერ) | 210 |
| 14(11). ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 197 |
| 14(16). კარლოს მოია (ესპ) | 197 |
| 16(15). რიშარ გასკე (საფ) | 159 |
| 17(17). ხუან კარლოს ფერერო (ესპ) | 158 |
| 18(20). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 154 |
| 19(21). ხუან მონაკო (არგ) | 151 |
| 20(23). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) | 149 |

| WTA-ს საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 2610 |
| 2. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 2520 |
| 3. ანა ივანოვიჩი (სერ) | 1946 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 1911 |
| 5. სერენა უილიამსი (აშშ) | 1891 |
| 6. მარია შარაპოვა (რუს) | 1545 |
| 7. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 1265 |
| 8. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 1223 |
| 9. დინარა საფინა (რუს) | 1211 |
| 10. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1101 |
| 11. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 1096 |
| 12. ამელი მორესმო (საფ) | 1076 |
| 13. შაარ პეერი (ისრ) | 1062 |
| 14. ნადია პეტროვა (რუს) | 1023 |
| 15. ნა ლი (ჩინ) | 902 |
| 16. ტატიანა გოლოვინი (საფ) | 865 |
| 17. პატი შნიდერი (შვეიც) | 839 |
| 18. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 810 |
| 19. ელენა დემენტიევა (რუს) | 806 |
| 20. ლუსი საფაროვა (ჩეხ) | 790 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპ) | 3 277 245 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 2 660 645 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 1 562 705 |
| 4. ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 903 730 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 821 720 |
| 6. მიხაილ იუჟნი (რუს) | 671 495 |
| 7. გილერმო კანიასი (არგ) | 660 595 |
| 8. ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 650 130 |
| 9. ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 608 035 |
| 10. ენდი როდიკი (აშშ) | 597 720 |
| 11. ტომი ჰაასი (გერ) | 595 590 |
| 12. ტომაშ ბერდიჩი (ჩეხ) | 577 400 |
| 13. ტომი რობრედო (ესპ) | 569 572 |
| 14. ენდი მარეი (ბრიტ) | 544 955 |
| 15. დავიდ ფერერი (ესპ) | 531 672 |
| 16. ბობ ბრაიანი (აშშ) | 505 625 |
| 17. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 505 625 |
| 18. კარლოს მოია (ესპ) | 504 290 |
| 19. მარკოს ბაღდატისი (კვიპ) | 381 690 |
| 20. ფაბრის სანტორო (საფ) | 375 840 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 2 119 957 |
| 2. სერენა უილიამსი (აშშ) | 1 625 948 |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1 091 352 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერ) | 1 046 150 |
| 5. მარია შარაპოვა (რუს) | 898 786 |
| 6. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 858 851 |
| 7. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 663 252 |
| 8. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 539 646 |
| 9. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 522 142 |
| 10. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 495 814 |
| 11. მარა სანტანჯელო (იტა) | 477 491 |
| 12. შაარ პეერი (ისრ) | 462 031 |
| 13. სამანტა სტოსური (ავტრა) | 424 062 |
| 14. დინარა საფინა (რუს) | 420 435 |
| 15. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 414 159 |
| 16. ამელი მორესმო (საფ) | 404 083 |
| 17. ლიზელ ჰუბერი (ს.აფრ) | 357 830 |
| 18. კატ. სრებოტნიკი (სლოვენ) | 354 312 |
| 19. ნადია პეტროვა (რუს) | 351 928 |
| 20. ნა ლი (ჩინ) | 347 480 |

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ევრო 2007

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| ჩეხეთი-ინგლისი | 0:0 |
| სერბეთი-იტალია | 1:0 |

#### ნორვეგია

| | |
|---|---|
| სტარტი-სანდეფიორდი | 3:1 |

#### შვედეთი

| | |
|---|---|
| ბრომაპოიკარნა-მალმიო | 0:1 |
| ჰალმსტადი-ჰამარბიუ | 2:2 |
| ტრელებორგი-გეფლე | 3:2 |

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| იონჩოპინგსი-ოსტერსი | 0:2 |
| სირიუსი-ლანდსკრონა | 2:0 |

#### ფინეთი

| | |
|---|---|
| ვაასა-ოულუ | 5:0 |

#### რუსეთი

| | |
|---|---|
| ზენიტი-ლოკომოტივი | 1:1 |

### ჩოგბურთი

#### ATP. ჰალე

| | |
|---|---|
| ბაღდატისი-სიმონი | 6:3, 6:3 |
| სიოდერლინგი-კუბეკი | 5:7, 6:3, 7:5 |
| გაბაშვილი-ბეკერი | 4:6, 6:7 |
| იუჟნი-რასელი | 6:2, 6:2 |
| ვავრინკა-კოროლიოვი | 6:3, 3:6, 4:6 |
| ბერდიჩი-კიფერი | 6:4, 7:6 |
| ბლეიკი-კერი | 4:6, 6:4, 6:3 |

#### ATP. ლონდონი

| | |
|---|---|
| ვერდასკო-მირნი | 3:6, 3:6 |
| ჯინეპრი-ბლუმფილდი | 6:4, 6:2 |
| კლემანი-ნავარო პასტორი | 7:6, 6:4 |
| პეია-ბეიკერი | 6:3, 6:7, 3:6 |
| ბენეტო-ფალა | 5:7, 3:6 |
| ლი-ბოგდანოვიჩი | 4:6, 4:6 |
| შტეპანეკი-სანგინეტი | 6:2, 6:0 |
| უდომჩოკე-ერნანდესი | 6:2, 6:3 |
| გუჩიონე-სეპი | 7:6, 6:4 |
| ლოპესი-მატიო | 3:6, 7:6, 3:6 |
| მაუ-კუნიცინი | 6:4, 6:4 |
| ბიორკმანი-გიმელსტობი | 6:3, 3:6, 6:1 |
| ტ. იოჰანსონი-დელ პოტრო | 2:6, 4:6 |
| ლოდრა-ლუ | 6:1, 6:1 |

#### WTA. ბარსელონა

| | |
|---|---|
| ლუა-ბაჩინსკი | 7:5, 6:3 |
| სკიავონი-ოპრანდი | 6:2, 6:0 |
| ბენეშოვა-მალეკი | 2:6, 0:6 |
| შონესი-ლაგოსტერა | 3:6, 4:6 |

#### WTA. ბირმინგემი

| | |
|---|---|
| დანილიდუ-გრენვილი | 6:3, 7:6 |
| დელაკუა-იანი | 6:2, 6:2 |
| ოსტერლო-ლეპჩენკო | 7:6, 6:3 |
| როლე-სპირსი | 6:4, 6:3 |
| ტუ-ვინჩი | 6:1, 6:2 |
| ბიჩკოვა-კლეპაჩი | 5:7, 6:2, 3:6 |
| ვაკულენკო-სუნი | 6:2, 6:1 |
| კრაიჩეკი-ფედაკი | 6:7, 4:6 |
| ლიხოვცევა-მატეკი | 6:3, 6:0 |
| რადვანსკა-კრემერი | 6:1, 6:3 |
| ე. ბონდარენკო-შვედოვა | 6:4, 4:6, 3:6 |
| დეში-ბრიანტი | 6:3, 6:1 |
| კირილენკო-კოპს ჯონსი | 6:3, 6:3 |
| პირონკოვა-ვოზნიაკი | 4:6, 7:6, 7:6 |
| მირზა-კამერინი | 6:3, 6:3 |
| ბირნეროვა-გოვორცოვა | 7:6, 4:6, 6:7 |

როქოს წონა

# კოტომ ტიტული შეინარჩუნა

"მედისონ სკვერ გარდენში", 20 000 მაყურებლის თვალწინ, WBA-ის ვერსიით როქოს წონის ჩემპიონმა, პუერტორიკოელმა **მიგელ კოტომ** ტექნიკური ნოკაუტით მოუგო ამავე წონის ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონ **ზებ ჯუდას** და თავისი ტიტული შეინარჩუნა.

ბრძოლა მე-11 რაუნდში შეწყდა მას შემდეგ, რაც ჩემპიონმა პრეტენდენტი მეორედ დააგდო რინგზე. მართალია, ჯუდა წამოდგა და ბრძოლის გაგრძელებაც შეძლო, მაგრამ რეფერი **არტურ მერკანტემ** მისი უმწეობა რომ დაინახა, მაშინვე გააშველა მოკრივეები და ბრძოლა შეწყვეტილად გამოაცხადა.

კოტომ, ვისაც პროფესიულ რინგზე ჯერ ბრძოლა არ წაუგია, თავის კარიერაში 30-ე ბრძოლა მოიგო, მათგან 25-ე ნოკაუტით. რაც შეეხება ჯუდას, მასაც ნოკაუტით 25, სულ კი 34 ბრძოლა აქვს მოგებული, მაგრამ ხუთჯერ რინგი წაგებულმა დატოვა.

*"ძნელ ბრძოლას მოველოდი და მოლოდინი გამიმართლდა. მისგან რამდენჯერმე მართლაც ძალიან ძლიერად მომხვდა მუშტი, მაგრამ ამისთვის მზად ვიყავი. ამ ბრძოლისთვის დიდი მონდომებით ვემზადებოდი, რისი შედეგიც სახეზეა. ყოველი რაუნდის შემდეგ, ჩემი უპირატესობა სულ უფრო აშკარა ხდებოდა, ბრძოლა კი ლოგიკური შედეგით დასრულდა"*, - განაცხადა ჩემპიონმა.

კოტოს ცაციამ მეტოქეს პირველი ტკივილი მერვე რაუნდში აგემა, მომდევნო რაუნდში კი პუერტორიკოელის გაშმაგებულ შეტევას შედეგად ჯუდას პირველი ნოკდაუნი მოჰყვა. კოტოს მუშტებმა პრეტენდენტს ფეხებში ძალა გამოაცალა და ჯუდაც კუთხეში ჩაიკეცა.

ანალოგიურ შეტევას მე-11 რაუნდში ჯუდას კიდევ ერთხელ დაცემა მოჰყვა. ის წამოდგა, მაგრამ როგორც კი ბრძოლა განახლდა, მის თავს კვლავ ჩემპიონის მუშტების სეტყვა დაატყდა, რის გამოც რეფერიმ ბრძოლა დაუყოვნებლივ შეაჩერა. ორი ნოკდაუნის გარდა, ჯუდა კიდევ ორჯერ (პირველ და მესამე რაუნდებში) დაეცა რინგზე. ორივე შემთხვევაში, მან კოტოს მიერ წელს ქვემოთ განხორციელებული ორი დარტყმის გამო იზარალა. მეორე შემთხვევაში, რეფერიმ ჩემპიონს ქულა წაართვა, მაგრამ ამან კოტოს აგრესია ვერ გაანელა.

ბრძოლის შემდეგ ჯუდა წუწუნებდა, რომ სწორედ იმ ორი დარტყმის გამო დათმო ინიციატივა და საბოლოოდ, ტექნიკური ნოკაუტიც იგემა. *"მან ორჯერ ძალიან ძლიერად დამარტყა ფეხებს შორის, მაგრამ ამაზე რეფერის თითქმის არ მოუხდენია რეაგირება. იმ ორი დარტყმის გამო, ჩემი საბრძოლო პოტენციალი მნიშვნელოვნად შესუსტდა. მოკლედ, რემატჩი მსურს და გაჩვენებთ, ვინ ვინ არის"*, ბრაზობს ჯუდა.

შეგახსენებთ, რომ როქოს წონაში გადასვლამდე, კოტო ქვე-როქოს წონაში ფლობდა WBO-ის ტიტულს, რომელიც 2004 წელს მოიპოვა და ექვსჯერ დაიცვა. როქოს წონაში შარშან გადავიდა და პირველივე ბრძოლაში მოიპოვა WBA-ის ტიტული. რაც შეეხება ჯუდას, მან თავისი ბოლო ოთხი ბრძოლიდან სამი წააგო. მათ შორის, შარშან, არგენტინელ **კარლოს ბალდომირთან**, რის შემდეგაც აბსოლუტური ჩემპიონის გვირგვინს დაემშვიდობა. ბალდომირის შემდეგ, მან **ფლოიდ მეივეზერ უმცროსთან** წააგო და იმავე ბრძოლაში ინსპირირებული ჩხუბის გამო, ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა.

კოტოსა და ჯუდას ბრძოლის ანდერქარდზე, მექსიკელი **ხულიო სესარ ჩავეს უმცროსმა** ნოკაუტი აგემა ამერიკელ **გროვერ უილის** და გააგრძელა წაუგებელი სერია. საინტერესოა, რომ ჩავესის მამას, ლეგენდარულ **ხულიო სესარ ჩავესს** კარიერის ბოლო ბრძოლაში სწორედ უილიმ აგემა ნოკაუტი. ჰოდა, ახლა შვილმა სრულფასოვანი რევანში აიღო.

უმცროსი ჩავესი ჯერ მხოლოდ 21 წლისაა მაგრამ პროფესიულ რინგზე უკვე მოასწრო 33 ბრძოლის ჩატარება, რომელთაგან მხოლოდ ერთი დაასრულა ფრედ. მოპოვებული 32 გამარჯვებიდან კი მან 24 მეტოქეს აგემა ნოკაუტი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



ფეხზე მდგარი კოტოა, რინგზე მწოლიარე კი ჯუდა

ოლიმპიზმი

## სკეიტბორდინგი ოლიმპიურ პროგრამაში იქნება

2012 წელს, ლონდონის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შესაძლოა სპორტის ახალი სახეობა შეიტანონ. ეს გახლავთ ასპარეზობები სკეიტბორდინგში.

როგორც "როიტერი" იუწყება, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა უკვე მიაღწია წინასწარ შეთანხმებას ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციასთან, რომლის მიხედვითაც, ლონდონის ოლიმპიადაზე ოქროს მედლებს სკეიტბორდისტებიც გაითამაშებენ.

*"საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს სურს, რომ ოლიმპიადა ახალგაზრდებისთვის კიდევ უფრო პოპულარული გახადოს"*, - განაცხადა სოკ-ის წარმომადგენელმა - **ემანუელ მარუმ**.

ზამთრის ოლიმპიური თხილამურები

## შმიგუნი სეზონს გამოტოვებს

ტურინის ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონმა - **კრისტინა შმიგუნმა** მომავალი სეზონის გამოტოვება გადაწყვიტა. ესტონელ მოთხილამურეს სურს, კარგად დაისვენოს და უკეთ მოემზადოს 2010 წლის ვანკუვერის ოლიმპიადისთვის.

ეს გადაწყვეტილება შმიგუნმა პალმ-ბიჩზე ორკვირიანი დასვენების შემდეგ მიიღო. მანვე განაცხადა, რომ ტურნირებში მონაწილეობას არ მიიღებს, მაგრამ მთელი სეზონი ჩვეულ რეჟიმში ივარჯიშებს.

ვანკუვერის ოლიმპიადაზე შმიგუნს ერთი ოქროს მედლის მოპოვება აქვს დაგეგმილი.






სპურსის დიდმა სამეულმა 78 ქულა დააგროვა

NBA . ფლეი ოფი. ფინალი.II მატჩი

# თხების მწყემსი

**სან ანტონიო-კლივლენდი 103:92**

28:17, 30:16, 31:29, 14:30

**სან ანტონიო:** ტ. პარკერი (30 ქ. 4 მ. 2 პ. 1 ჩ), ჯინობილი (25 ქ. 6 მ. 3 ჩ. 2 პ), დანკანი (23 ქ. 9 მ. 8 პ), ელსონი (6 ქ. 3 მ), ორი (6 ქ. 9 მ. 5 დ. 4 პ), ობერტო (4 ქ. 4 მ), ბ. ბოუენი (3 ქ. 5 მ), ბ. ბერი (3 ქ), ფინლი (2 ქ), ვონი (2 ქ. 3 მ).

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (25 ქ. 7 მ. 6 პ. 1 ჩ), გიბსონი (15 ქ), გუდენი (13 ქ. 6 მ), პავლოვიჩი (10 ქ. 4 მ), ილგაუსკასი (9 ქ. 4 მ), ვარეჟაო (8 ქ. 10 მ. 2 პ), დ. ჯოუნსი (6 ქ), დ. მარშალი (5 ქ. 3 პ), სნოუ (1 ქ).

**სერია 2:0**

თამაში მხოლოდ პირველი მეოთხედის სტარტსა და ბოლო მეოთხედის უკანასკნელ 8 წუთში იყო, დანარჩენ დროს კი, "სპურსი" საფლეიოფო კალათბურთს თამაშობდა, "კლივლენდი" კი - რაღაც საზაფხულო ლიგების დონისას.

ამჯერად თამაშის მიმოხილვისგან თავს შევიკავებთ და ამ მატჩის მონაწილეთა 6-6 წამყვანი მოთამაშისა და მწვრთნელების ჩვენებურ შეფასებებს შემოგთავაზებთ. მაქსიმალური შეფასება 10 ქულაა.

## სან ანტონიო

**ტონი პარკერი (9)**. მატჩისა და ჯერჯერობით, სერიის საუკეთესო მონაწილე. ფრანგი ფლეიმეიქერი თითქოსდა არ იმჩნევს არცერთ მეურვეს და ჯიუტად ახერხებს სამწამიანში შეღწევას, სადაც ქულათა დიდ ნაწილს აგროვებს. ტონის უხვქულიანობა ერთის მხრივ, **ლარი ჰიუზის** საზარდულისა და მარცხენა კოჭის ტრავმებიც განაპირობა, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, იგი ჩვენი ვერსიით ამ სერიის უძვირფასესი მოთამაშეა. ამ სერიაში ტონი გამთამაშებელზე მეტად მსროლელია, მაგრამ რა, ამით მისი ფასი იკლებს? არანაირად! პარკერი კარგად ისვრის საშუალო მანძილიდან, ხოლო შესვლებისას კი მისი შეჩერება წარმოუდგენელია.

**მანუ ჯინობილი (8.5)**. 11-დან 11 გამოყენებული საჯარიმო ტყორცნა! არგენტინელი სამიანების შესრულების დროსაც ბრწყინავდა (6-ში 4 ჩააგდო), მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ გადამწყვეტ მომენტში, როდესაც "კლივლენდი" მის გუნდს 8 ქულამდე მიუახლოვდა, ჯინობილიმ დაცვაში არაჩვეულებრივად ითამაშა (**ლებრონს** ზედიზედ ორი შეტევა ჩააშლევინა) და შეტევაშიც, ზედიზედ ორ ზუსტ კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა. მანუს გარეშე, "სპურსს" ამ შეხვედრის მოგება გაუჭირდებოდა.

**ტიმ დანკანი (8)**. დანკანი იყო დანკანი, მაგრამ შეეძლო, უკეთ და მეტად აგრესიულადაც ეთამაშა. **გრეგ პოპოვიჩს** ჩვენგან შენიშვნა - როდესაც შენი ლიდერი სამმაგ დუბლზე მიდის, შეუშვი ბოლომდე და გააკეთებინე ტრიპლ-დაბლი. ტიმმა ბოლო მეოთხედში ჯერ ზედიზედ სამი სროლა გააფუჭა, მაგრამ ბოლოსწინა წუთზე, პარკერის არაზუსტი სროლის შემდეგ, შეტევაში ბურთი მოხსნა და ფარიდან 2 ქულა აიღო. სუპერფინალების სამგზის MVP-ს, ამ ტიტულის მეოთხედ მოპოვება ძალიან გაუჭირდება.

**რობერტ ორი (7)**. აი, კაცი! ორის მარჯვენა მაჯის ანთება აქვს და ამის გამო, იგი ყველანაირად ცდილობს, მოედანზე თავისი გუნდისთვის ხელისშემშლელ ფაქტორად არ იქცეს, ამიტომაც დაცვაში ორმაგად მუშაობს. ფინალურ სერიაში საშუალოდ 5 შედეგიან გადაცემას აგროვებს, რაც მის გუნდში საუკეთესო მაჩვენებლია. 26 წუთში ბობის ერთი შეცდომაც არ დაუშვია.

**ბრიუს ბოუენი (6)**. ბრიუსის კაცი, ანუ ლებრონი ამჯერად ოდნავ უკეთ კი გამოიყურებოდა, მაგრამ მაინც შორს იყო იმ მონსტრისგან, რომელმაც მარტომ მოუგო სერია "დეტროიტს". ბოუენს ოდნავ უკეთ რომ შეესრულებინა სროლები (9-დან 8 გააფუჭა), მისი შეფასება უფრო მაღალი იქნებოდა, ისე კი რაც დაიმსახურა, იმას ვუწერთ.

## კლივლენდი

**ლებრონ ჯეიმსი (7)**. 2-3 წლის შემდეგ, ალბათ, ალარავინ გაიხსენებს, რომ კარიერაში პირველი ფინალის ორ სადებიუტო შეხვედრაში, ჯეიმსი საშუალოდ 6 შეცდომას აგროვებდა. ლებრონი პირველ მატჩთან შედარებით უფრო აგრესიული კი იყო, მაგრამ მის თამაშში მაინც ბლომად წუნი შეინიშნება.

ერთი-ორჯერ ლებრონმა ისეთი პასი გააკეთა, **გრეგ პოპოვიჩმაც** კი აპლოდისმენტები გაიმეტა, მაგრამ ხშირად ჯეიმსი ზედმეტს იღებდა საკუთარ თავზე. როდესაც მისმა გუნდმა ჩამორჩენა 8 ქულამდე დაიყვანა, ჯეიმსს არ უნდა ესროლა, რადგან იქვე მყოფი **დანიელ გიბსონი** ბევრად უკეთეს სიტუაციაში იყო.

**დანიელ გიბსონი (7)**. თუ **ლარი ჰიუზი** სერიის მომდევნო შეხვედრაშიც ძირითადში იქნება, გამოდის, რომ **მაიკ ბრაუნს** ამ სერიის თავის სასარგებლოდ დასრულება არ უნდა. დენი გიბსონი ისეთივე ფორმაშია, როგორც "პისტონზთან" სერიის ბოლოს, ანუ - სამიანების სროლისას თავდაჯერება არ აკლია, ხოლო ფარქვეშეთში კი **ალენ აივერსონზე** არანაკლები ენთუზიაზმით იჭრება ხოლმე. გიბსონის მთავარი პრობლემა ერთი-ერთზე დაცვაა, თუმცა ამ ბიჭმა შეტევაში თავისი წილი ქულები მოიმკოს და დანარჩენს ალბათ, მოევლება.

**ანდერსონ ვარეჟაო (6.5)**. იბრძოლა, ტიმს ერთი-ორი მაგრადაც ჩაარტყა ხელებში, მაგრამ არააკურატული (4 ფოლი 28 წუთში) იყო და მეტი შეფასებაც ამის გამო ვერ დაიმსახურა. რაც იცის, ყველაფერში მაქსიმალურად იხარჯება, მაგრამ ორჯერ მეტიც რომ შეეძლოს, დანკანის დასამუხრუჭებლად საკმარისი არც ის იქნება.

**დრიუ გუდენი (6)**. უბრალოდ, ზარმაცია და მოტივაციის შენარჩუნებას მაშინაც კი ვერ ახერხებს, როდესაც ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე შეტევას ზუსტი სროლით ამთავრებს. დანკანის წინააღმდეგ უმანსოდაა, თუმცა როგორც კი პოპოვიჩს მასზე ობერტო გადაჰყავს, აქტიურობას უმატებს და ქულათა მარაგის გაზრდას იწყებს. მოკლედ, რაც არი, ეგაა.

**ჟიდრუნას ილგაუსკასი (5)**. კარგად იწყებს, მერე იღლება, სათადარიგოთა სკამზე სულს ითქვამს და როგორც კი ენერგიას აღიდგენს, საფინალო სირენის ხმა გაისმის. ილგაუსკასი სეზონის უმთავრეს დაპირისპირებებს აშკარად გადაღლილი შეხვდა და ნურც იმას გამორიცხავთ, რომ ბრაუნმა მომდევნო მატჩებში ძირითადში მის ნაცვლად მოძრავი, მონდომებული და მოტივირებული **ანდერსონ ვარეჟაო** დააყენოს.

**ზურაბ თალაკვაძე**

ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა